საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 19 სექტემბერი, 2014 წელი.

№191 (7572)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა

ვაჭა-ფშაველა

3

ბიძინა მგალობლიშვილი - 95

7

ექიმი, რომელიც ადამიანთა სულებს კურნავდა

პუტინი რიგის, ვილნიუსის, ტალინის, ვარშავის და ბუქარესტის ორ დღეში აღებით იმუქრება

3

ბიუჯეტის კუთვნილ გადასახადებთან ხუმრობა არ ღირს

5

სეპარატიზმის საერთაშორისო პრაქტიკა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მაგალითზე

8

დიასპორა დიდი ძალაა

საზღვარგარეთ წასულები ყოველწლიურად 2 მილიარდამდე დოლარს რიცხავენ სამშობლოში

6

დიმიტრი ყიფიანი – 200

მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს...

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

დღეს, 19 სექტემბერს, მთაწმინდის პანთეონში ქართველი საზოგადოება, 14 საათსა და 30 წუთზე პატივს მიაგებს დიდი მამულიშვილის ხსოვნას.

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრემიერი

2014 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მინიმუმ 5 პროცენტი იქნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს მარკ გრიფიტს და სავალუტო ფონდის მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში აზიმ სადიკოვს შეხვდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ გარემოზე. იმსჯელეს მიმდინარე და მომდევნო წლის საბიუჯეტო პარამეტრებზე. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გაუმჯობესების ტენდენცია და გამოითქვა იმედი, რომ 2014 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მინიმუმ 5 პროცენტი იქნება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლების შეხვედრას მთავრობის ადმინისტრაციაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და ეკონომიკური საბჭოს მდივანი რომან ჩხენკელი ესწრებოდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ის სენატში მომზადებულ კანონპროექტს გამოეხმაურა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ის სენატში დაგეგმილ განხილვას გამოეხმაურა, რომელიც ნატოს წევრობის გარეშე საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვასთვის აშშ-ის მთავარი პარტნიორის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს.

„საქართველოს ნომერ პირველი და სტრატეგიული პარტნიორი ისედაც არის აშშ და ამაში ახალი არაფერია“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში თემის კომენტირებისას.

აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი კენჭს უყრის კანონპროექტს, რომელიც ნატოს წევრობის გარეშე საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვასთვის აშშ-ის მთავარი პარტნიორის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს. ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის სენატის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

კანონპროექტში განსაზღვრულია სანქციების დაწესება „როსობორონექსპორტისა“ და თავდაცვით სფეროში სხვა რუსული საწარმოების წინააღმდეგ, რომელიც არასტაბილურობას უწყობს ხელს საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვასა და სირიაში.

კანონპროექტი ასევე სთავაზობს სანქციების დაწესებას რუსული „გაზპრომის“ წინააღმდეგ, თუ აშშ-ის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ „გაზპრომი“ უარს ამბობს ბუნებრივი აირის მიწოდებაზე ნატოს წევრი ქვეყნებისა და საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვასთვის.

„კანონპროექტი განსაზღვრავს ნატოს წევრობის გარეშე, საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას როგორც აშშ-ის მთავარ პარტნიორებს და ითვალისწინებს 10 მილიონი დოლარის გამოყოფას სამი წლის განმავლობაში ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად“, — ნათქვამია კანონპროექტის ტექსტში.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში რუსულენოვანი „ამერიკის ხმისა“ და რადიო „თავისუფლების“ მაუწყებლობის პრიორიტეტულობას.

შეხვედრა ფრანგ სენატორებთან

ფრანგ სენატორებთან — ალენ გურნაკთან და ფილიპ დალიესთან შეხვედრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საუბრით დაიწყო. ირაკლი ღარიბაშვილმა სენატორებს მადლობა გადაუხადა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკისთვის.

საუბრის მთავარი თემა იყო ასოციირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში საფრანგეთის მხარდაჭერის მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებაზე და ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

სენატორები გურნაკი და დალიე საფრანგეთი-კავკასიის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის წევრები არიან. შეხვედრას ქართული მხრიდან პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ესწრებოდა.

წლევანდელი რთველი შარშანდელზე უკეთესი იქნება

ამის შესახებ პრემიერმა გურჯაანში, „რთველი 2014“-ის საკოორდინაციო შტაბში სტუმრობისას განაცხადა. ის შტაბის მუშაობას და რთველის მონიტორინგის შედეგებს ადგილზე გაეცნო. როგორც პრემიერს შტაბში განუმარტეს, კახეთის რეგიონში რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა. დღეისთვის უკვე გადამუშავებულია 60 000 ტონამდე ყურძენი. გლეხები ყურძენს რიგებისა და ყოველგვარი შეფერხებების გარეშე, უპრეცედენტოდ მაღალ ფასებში აბარებენ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, ისევე როგორც შარშან, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ხელშეწყობის მიზნით, როგორც თეთრი, ისე წითელი ყურძნის სუბსიდირება მოხდა. ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზიდან გამომდინარე, წელს სუბსიდია 1 კილოგრამ რქაწითელზე 35 თეთრს შეადგენს, 1 კგ საფერავზე — 15 თეთრს. ამ ეტაპზე რეალიზებულია 91 მლნ ლარზე მეტი ყურძენი.

პრემიერ-მინისტრის თქმით, რთველის წარმატება დიდწილად განაპირობა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების მიზნით, 2013-2014 წლებში სწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა პროგრამებმა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, დასეტყვილ და გვალვისგან დაზიანებულ ყურძენს სახელმწიფო კომპანია იბარებს, რაც გლეხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„წინა ხელისუფლება გლეხს ვაზის გაჩეხვას აიძულებდა. მოსახლეობას ყურძნის ჩაბარება მიზერულ ფასებში უწევდა. ჩვენი მონაცემებით, წელს ყურძნის ჩაბარების შედეგად თითოეულმა ოჯახმა მნიშვნელოვანი შემოსავალი მიიღო, ზოგ შემთხვევაში 100-200 ათასი ლარის ოდენობით. ეს ჩვენი ხელისუფლების სახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგია და, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს რეგიონის განვითარებას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



◎ ენა ქართული

თუ მოხელეობა გსურს...

ვის დასჭირდება სახელმწიფო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი

საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველს თუ ქართულენოვანი უნივერსიტეტის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი არ ექნება, სახელმწიფო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი დასჭირდება. ამას ითვალისწინებს „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც პარლამენტშია ინიცირებული და რომლის სასესიო განხილვაც, სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისში დაიწყება.

სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტის ერთ-ერთ ინიციატორს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, პროფესორ ავთანდილ არაბულს უკვირს, რატომ გამოიწვია განსაკუთრებული გაუგებრობა იმ საკითხმა, რომ საჯარო მოხელემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. მისი თქმით, არც ერთ ქვეყანაში ამაზე კითხვას არ დასვამენ, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-15 მუხლის თანახმად კი, საჯარო მოხელეს ისედაც მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა:

„რაც შეეხება შეკითხვას, საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს თუ არა აუცილებლად სერტიფიკატი, ეს კანონში ნამდვილად არ წერია. არც ის წერია, რომ საჯარო მოხელემ აუცილებლად უნდა ჩააბაროს გამოცდა. იქ წერია, რომ იარსებებს სახელმწიფო გამოცდა სახელმწიფო ენის სერტიფიკატის მისანიჭებლად, ვისაც ეს დასჭირდება. შეიძლება მოქალაქეობის მისაღებად დასჭირდეს ან, როგორც ჩვენ ვიღებთ სხვადასხვა უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, იმისთვის თუ როდისმე დაგვჭირდა, და ასევე, თუ საჯარო სამსახურში მოსთხოვენ. ამას ენის კანონი ვერ მოსთხოვს. საჯარო სამსახურის შესახებ კანონმა უნდა მოსთხოვოს და თუ მოსთხოვენ, რომ მას ჰქონდეს სერტიფიკატი, მან ეს სერტიფიკატი უნდა წარადგინოს“.

რაც შეეხება კანონპროექტის თანახმად მეორე სახელმწიფო ენად განსაზღვრულ აფხაზურ ენას და მის ცოდნას, ავთანდილ არაბული ამბობს, რომ საკანონმდებლო ინიციატივაში გადმოტანილია კონსტიტუციური ნორმა, რომელიც მეორე სახელმწიფო ენად აფხაზურს ადგენს, თუმცა, აფხაზური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მოთხოვნა იმოქმედებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც სახელმწიფო ენად, ქართულთან ერთად, აფხაზურიცაა:

„შეუძლებელია აფხაზურთან დაკავშირებით დავაზუსტოთ მოთხოვნები გამოცდასთან დაკავშირებით. ერთადერთი - აფხაზეთის ტერიტორიაზე ამოქმედდება აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსი და ის მეორე ადგილს დაიკავებს სახელმწიფო ენის — ქართულის — შემდეგ“.

ამ კანონპროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაც, რაც გააადვილებს სახელმწიფო ენის დაუფლებას, ამბობს ავთანდილ არაბული. ეს პროგრამები, მისი თქმით, დააინტერესებთ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს. ისინი იქნება უფასო. პროგრამების შემუშავება დაევალება ენის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომლის შექმნაც იგეგმება სახელმწიფო ენის შესახებ კანონის თანახმად, და პროგრამებს დაამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამ პროგრამის საფუძველზე დაინიშნება გამოცდა, რის შემდეგაც გაიცემა ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრის დირექტორი აგიტ მირზოევი ამბობს, რომ შესაძლოა ადგილობრივ დონეზე მოსახლეობისთვის — ან მათთვის, ვისაც საჯარო მოხელეობა სურს - წარმოიშვას გარკვეული დაბრკოლება, მაგრამ თუ საჯარო მოხელეს სურს, ემსახუროს ქვეყნის ინტერესებს, მან აუცილებლად უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა:

„ბუნებრივია, კანონის დონეზეც რომ არ იყოს გაწერილი ეს ნორმა, მიმაჩნია, რომ საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელსაც სურს თვითრეალიზება, როგორც სახელმწიფო მოხელეს, იმისათვის, რომ იყოს სახელმწიფო სამსახურში და ემსახუროს საზოგადოებას პოლიტიკურ არენაზე, უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ძალიან გაუჭირდება საზოგადოებრივი ინტერესების ადვოკატირება“.

აგიტ მირზოევის აზრით, ენის შესწავლის უმთავრესი ფაქტორი არის მოტივაცია — მან უნდა იცოდეს, რა ასპარეზს გაუხსნის ენის ცოდნა. თუმცა, აგიტ მირზოევის ხედვით, არსებობს ზოგადად პარტიული პრობლემა, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობის თვალსაზრისით, და თავად პარტიებს არ გააჩნიათ სტრატეგია, თუ როგორ შეიძლება გაზარდონ კადრები და შექმნან პირობები თუნდაც ადგილობრივ დონეზე იმითვის, რომ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის იყოს კონკურენცია ადგილებზე უფრო მაღალი, ვიდრე დღესაა.

ნინო ხარაძე
რადიო „თავისუფლება“



ვაჟა-ფშაველა: პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა

ნამდვილად არ მეგონა, თუ კიდევ დამჭირდებოდა ჩვენი გენიოსი პოეტისა და დიდი მოაზროვნის ვაჟა-ფშაველას სტატიის მოხმობა იმის შესახებ, თუ როგორი პიროვნება უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი: „პრეზიდენტობა საძვეყნო საქმეა და საძვეყნო საქმის მმართველად ვინ გინდა არ გამოდგება. იმას ძვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს. თუ ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის ივჯდეს საკუთარ კერაზე და არ ეჩხირებოდეს საძვეყნო საქმეში“.

ქვეყნის ექს-პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს საერთოდ არ უნდა გამოეყო თავი საკუთარი კერიიდან, მაგრამ გონებრივი და ზნეობრივი „ბაგაჟი“ ამის მიხვედრის საშუალებას არ აძლევდა – ათი წელი ეჩხირებოდა საქვეყნო საქმეში და ქვეყანაც ეკონომიკური და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ზნეობრივი დაღუპვის პირზე მიიყვანა. ახლაც თავისას არ იშლის ეს ივანე „კალიტა“ – „ფულის ქისა“, რომლის მოსყიდული ლობები გარედან არ გვასვენებენ და შიგნით კიდევ მისი დარიგებული რაზმის წევრები ათასგვარ აქციებს აწყობენ და ერთ ხმაში საუბრობენ – მათი მოსაწონი ქვეყანაში არაფერი კეთდება. მათ პირზე პამპერსებს თუ ავაკრავთ დავით დარჩიაშვილის მეთაურობით, რომელსაც, მართლაც, მოუხდება პამპერსი, რათა აქოთებული „საინფორმაციო ღრუ“ დავუფაროთ და სხვა ადამიანები არ დაწამლონ. არა მგონია, ყველა მამალი ნაციონალი ვერ ხვდებოდა იმას, რაც ექს-პრეზიდენტმა ჩაიდინა თავისი ქვეყნის წინაშე, მაგრამ იმდენად არიანდ დავალებული და კიდევ უფრო მეტად დაშანტაჟებული საკაშვილის მიერ, ახლაც კი ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. თუმცა, ზოგიერთმა ბაყაყური მოუსვა (პეტრე ცისკარიშვილი, დავით კირკიტაძე და სხვ.) და მადიანად შეექცევა ნაშოვნ საკბილოს. ექს-პრეზიდენტ სააკაშვილისა და ივანე კალიტას შორის სხვაობა კი ისაა, რომ პირველმა, როგორც ამბობენ, უამრავი ფული იშოვა და ყველაზე მდიდარი ქართველი გახდა მსოფლიოში თავისი ქვეყნისა და ხალხის ხარჯზე, ხოლო მეორემ, ცბიერმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელიც მონღოლების მიერ დაკისრებულ ხარკს თვითონ კრებდა და უაღრესად გამდიდრდა, ხელი შეუწყო მოსკოვის სამთავროს ამაღლებას და საფუძველი ჩაუყარა ქალაქ მოსკოვის გაძლიერებას. უბედურება ის არის, რომ სააკაშვილი თავისი ავადმყოფური, ბავშვობის დროინდელი ბოროტი აზრების განსახორციელებლად, ახლაც საშიშია ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანისათვის. მართალია, იგი თავისი ფავორიტი ქალებისთვის საჩუქრების საყიდლად ფულს ვერ იმეტებდა და სახელმწიფო სახსრებს ანიავებდა, მაგრამ დასაბრუნებლად არაფერს დაზოგავს და შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყანას. ამ მხრივ თითქმის ყველა ტელეარხი საეჭვოდ გარუსთავორდა. მეტად საეჭვო იყო, აგრეთვე, ზურაბ ჯაფარიძისა და ირმა ნადირაშვილის დაგვიანება ბაქოს აეროპორტში თვითმფრინავზე, რომელთაც, პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, დიდძალი ფული შემოჰქონდათ საქართველოში.

ვაჟა-ფშაველას მოტანილი ციტატა შეიძლება იმ ზომით არაა, როგორც ხუშტურა სააკაშვილის, მაგრამ მოქმედ პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილსაც ეხება. საპრეზიდენტოდ მასაც აკლია „გონებრივი და ზნეობრივი თანხა“. „თქვათ მრავალთაგან მცირედი“.

ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ სააკაშვილმა თითქმის ერთი წლით გაიგრძელა საპრეზიდენტო ვადა, ამასთან, მან კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები – პრეზიდენტს მნიშვნელოვნად შეუმცირდა უფლება-მოვალეობები და, სამაგიეროდ, გაუზარდა იგი პრემიერ-მინისტრს. ეს ცვლილებები ძალაში შედიოდა ზუსტად მისი გაგრძელებული საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთანავე. ამრიგად, პირველი კაცი ქვეყანაში ხდებოდა პრემიერ-მინისტრი. სააკაშვილი უმიზნებდა პრემიერ-მინისტრობას და რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი არა, იგი სრულიად ადვილად დაიჭერდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას, რომელიც დროში შეზღუდული არ არის და ასე გაგრძელდებოდა ნაციონალების პარპაში რამდენიმე ათეული წელი – თითქოს სააკაშვილს დედის მუცლიდან გამოჰყვა ეს ქვეყანა საკუთრებაში.

ახლა მინდა, ბატონ გიორგი მარგველაშვილს შევეკითხო და გულწრფელი პასუხი მივიღო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე ამჟამად მიემგზავრება ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი. თქვენ პატარა ბავშვივით ამოიჩემეთ – მეორე დელეგაციის სახით მეც უნდა დავესწრო გაეროს სესიასო. თუ იმდენი არ იცით, ორი ქართული დელეგაციის გამგზავრება გაეროში რაოდენ უხერხულობას ქმნის, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე და თუ იცით – მით უარესი. რას მივაწეროთ ყოველივე ეს? დავუშვათ, ქვეყნის ბედი უკუღმა დატრიალებულიყო და პრემიერ-მინისტრი ყოფილიყო სააკაშვილი, რომელსაც ვერავინ დაასწრებდა გაეროს სესიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას, თქვენ მაშინ გაბედავდით დაჟინებით საკითხის დასმას გაეროს სესიაზე მეორე დელეგაციის სახით წასვლის თაობაზე? გაბედავდით და კაი ჭიტლაყსაც მიიღებდით.

თქვენ, სანამ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა პატარა ბავშვივით ხელი არ ჩაგკიდათ და მოსახლეობასთან შეხვედრებზე ყოველმხრივ დადებითად არ დაგახასიათათ როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, არავინ გიცნობდათ. ეგ იყო მხოლოდ, ყოველი მეორე დღე შალვა რამიშვილის სტუმარი იყავით „მაესტროს“ არხზე. ახლა გეკითხებით, ბატონ ბიძინას, თქვენსავით ჩემთვის რომ ხელი ჩაეკიდა და მოსახლეობასთან შეხვედრებზე თქვენზე უქმად დახარჯული სიტყვებით მე შევემკე, თქვენ კი როგორც დამოუკიდებელ კანდიდატს ისე მიგეღოთ მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში, როგორ ფიქრობთ, როგორც მინიმუმი თქვენზე გაცილებით მეტ ხმას მივიღებდი თუ არა? დიდი ფიქრი ამ საკითხზე არ დაგჭირდებათ. იმდენად დიდი იყო ბატონ ბიძინას ავტორიტეტი, რომ ხალხი მას თვალებდახუჭული ენდობოდა. ისე საკითხავია, ბატონო გიორგი, ახლახან იქორწინეთ დასავლეთში მიღებული წესების სრული დაცვით და ნიუ-იორკში ამ 12 თუ 14-მილიონიან ქალაქში რა გინდოდათ, უმჯობესი არ იყო საქორწინო მოგზაურობაში წასულიყავით და თაფლობის თვე ბალის კუნძულებზე გაგეტარებინათ?

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ავლაბარში პრეზიდენტის სასახლე ევას ვაშლივით მაცდური გამოდგა ბატონი გიორგი მარგველაშვილისა თუ მისი ოჯახის წევრებისთვის. თუ ბატონ გიორგის თავს მოახვიეს ეს გადაწყვეტილება, მაშინ იგი საკუთარ თავს ვერ ფლობს და, ამდენად, არც თავისუფალია, რაც პრეზიდენტის მეტად ცუდ თვისებაზე – უნებისყოფობაზე მიუთითებს. ეს მეტად არსებითია, რადგან ბატონი გიორგი თავიდანვე მტკიცე უარზე იყო ხუშტურა ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის სასახლეში გადასვლაზე, მაგრამ საბოლოოდ ესეც კუდიანი ტყუილი გამოდგა. მაგრამ რას იზამ, სააკაშვილისა არ იყოს, „ზოგს ჭკუა ეზრდება და ზოგს კიდევ ტანი“.

ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა თავისი პრეზიდენტობის მცირე ხნის განმავლობაში ბევრი სხვა აბსოლუტურად მცდარი გადაწყვეტილებებიც მიიღო – თავის მრჩევლად ფაშისტური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის ძმა ვანო მაჭავარიანი დანიშა; მას პროკურატურის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე, ექს-პრეზიდენტის ხარჯებზე არასწორად დადებული გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნისთვის სამჯერ მიმართეს, მაგრამ არ მოხსნა; უსაფუძველო აჟიოტაჟი ატეხა, თუ ვის უნდა მოეწერა ხელი ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებაზე და სხვ. სწორედ ამ გარემოებებმა აიძულეს ბატონი ბიძინა ივანიშვილი აღენიშნა: „ეს ხელის შეშლაა საბოლოო ჯამში, ქვეყანას ეშლება ხელი და ამას უნდა მიხვდეს პრეზიდენტი მარგველაშვილი“. დიახ, როდესაც მარგველაშვილი თავდაპირველად ივანიშვილთან ნოხის კოცნით გაბედნიერდა და თავის თავს პლასტელინიც კი უწოდა, ახლა პირი იბრუნა, ენის ქავილი აუტყდა და მთავრობასა და პარლამენტს კონკურენციაში ჩაუდგა, უგანა იმ გუნდს, რომელიც არჩევნები ეხმარებოდა.

ბატონო პრეზიდენტო, პრობლემებით დამძიმებულ საქართველოში ახალ პრობლემებს ნუ გაგვიჩენთ. დღეს ჩვენი ცხოვრების წინსვლას ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი თავკაცობს, მას იმედით შეყურებს ჩვენი მოსახლეობა, საქმიანობა კარგად დაიწყო და დახმარების მაგივრად ხელს ნუ შევუშლით. უამრავი მოსაგვარებელი პრობლემაა გადასაწყვეტი, რომლებიც თქვენც გეყოფათ და ყოველ ჭეშმარიტ მამულიშვილს.

ანზორ თოთაძე,
პროფესორი

◎ ალიანჩალიანი

პუტინი რიგის, ვილნიუსის, ტალინის, ვარშავის და ბუქარესტის ორ დღეში აღებით იმუქრება

უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაიმუქრა, რომ სურვილის შემთხვევაში, ორ დღეში აიღებს რიგას, ვილნიუსს, ტალინს, ვარშავას და ბუქარესტს. ინფორმაციას უკრაინული მედია გერმანულ Suddeutsche Zeitung-ზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ევროკომისიის პრეზიდენტს ჟოზე მანუელ ბაროზუს 12 სექტემბერს, კიევში ვიზიტისას განუცხადა.

გერმანული გამოცემის თანახმად, ვლადიმერ პუტინმა ასევე ურჩია უკრაინის პრეზიდენტს, დიდად ნუ იქნებოდა ევროკავშირის იმედზე, რადგან პუტინის განცხადებით, სურვილის შემთხვევაში მას შეუძლია გავლენა იქონიოს და დაბლოკოს მიღებული გადაწყვეტილებები ევროკავშირის დონეზე.

გენმოდიფიცირებული თესლი აღარ შემოვა

ქვეყნის ტერიტორიაზე, მისი გარემოში ინტროდუქცია იკრძალება. რაც ნიშნავს, რომ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით შექმნილი თესლი საქართველოში თავისუფლად აღარ შემოვა, შემოსვლის შემთხვევაში კი, მისი ინტროდუქცია, ანუ ნიადაგში შეტანა დახურულ სივრცეში მოხდება, რაც, თავის მხრივ, ლიცენზირებადი საქმიანობა იქნება.

ამ ყველაფერს „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა და პარლამენტმა გუშინ მესამე მოსმენით დაამტკიცა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს გენმოდიფიცირებული პროდუქციის საბაზრო ქსელში განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ მხრივ რაიმე ტიპის რეგულაციებს არ აწესებს.

„ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ გენმოდიფიცირებული თესლი და გენმოდიფიცირებული თესლისგან წარმოებული პროდუქცია, რომელიც შეიძლება შემოდიოდეს საქართველოში. ჩვენ მეორეს არ ვკრძალავთ და ამას ვერც ავკრძალავთ, მაგრამ საქართველო გამოცხადდება დახურულ ზონად ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებით შექნილი თესლებისთვის, ანუ გენმოდიფიცირებული სათესლე ნედლეული საქართველოში არ უნდა შემოვიდეს. სამეცნიერო წრეებში დღემდე მიდის დავა, ბჭობა სასარგებლოა, თუ უსარგებლოა ის და შეუძლია თუ არა ავნოს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ჩვენ არ გვინდა, რისკის ქვეშ დავაყენოთ ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამასთან, არა გვაქვს სასოფლო-სამეურნეო მიწების გიგანტური ფართობები, მაგრამ საქართველო ევროპის კონტინენტზე ფაქტიურად არის უკანასკნელი კუნძული ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების კუთხით“, – განაცხადა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ხელმძღვანელმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია, აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა *), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2015 წლისთვის — ცხრილი №1

#	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ"	ქ.თბილისი, ქიზიყის ქ. №13	0(32) 254 94 30 0(32) 254 94 32	არასაყოფაცხოვრებო 13 669 000	არასაყოფაცხოვრებო 53.598 - 57.138
2	შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი"	მიცკევიჩის ქ.№18ა	114 0(32) 220 04 04 faqsi 0(32) 237 64 93 ტელ.0(32)237 63 80 E-mail: info@ktg-tbilisi.ge	საყოფაცხოვრებო 411 000 000 არასაყოფაცხოვრებო 181 000 000	საყოფაცხოვრებო - 25.721 არასაყოფაცხოვრებო 50.619 - 58.712
3	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი-ქართლი"	ქ. მცხეთა. ვაჟა-ფშაველას ქ.№1;	0(32) 224 35 21	საყოფაცხოვრებო 90 000 000 არასაყოფაცხოვრებო 30 000 000	საყოფაცხოვრებო 26.272 - 40.97 არასაყოფაცხოვრებო 47.458 - 71.949
4	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი-იმერეთი"	წყალტუბო, 9 აპრილის ქ.№62ა	ცხელი ხაზი 114 faqsi: 0(436) 22 42 35 577 10 56 69 imereti@socar.ge	საყოფაცხოვრებო 43 200 000 არასაყოფაცხოვრებო 16 100 000	საყოფაცხოვრებო 26.33 - 26.42 არასაყოფაცხოვრებო 46.94 - 64.68
5	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი-სამეგრელო"	ზუგდიდი, კრილოვის II შესახვევი #4	577 22 81 90 T.mosidze@socar.ge	საყოფაცხოვრებო 14 834 000 არასაყოფაცხოვრებო 2 364 000	საყოფაცხოვრებო 26.331 - 31.534 არასაყოფაცხოვრებო - 57.968
6	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი-გურია"	ქ.ოზურგეთი, ყაზბეგის მე-3 შესახვევი #9	114 0(496) 27 69 79 E-mail:guria@sokar.ge	საყოფაცხოვრებო 4 045 800 არასაყოფაცხოვრებო 1 954 700	საყოფაცხოვრებო 26.382 - 34.567 არასაყოფაცხოვრებო 50.662 - 59.39
7	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი-კახეთი"	ქ.ყვარელი, აღმაშენებლის ქ.#66	16 114	საყოფაცხოვრებო 46 734 395 არასაყოფაცხოვრებო 14 447 182	საყოფაცხოვრებო 26.382 - 27.432 არასაყოფაცხოვრებო 56.0 - 59.26
8	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი-აჭარა"	ქ. ბათუმი,ზარათაშვილის №20	0(422) 22 47 03 577 21 01 93 adjaragaz@socar.ge	საყოფაცხოვრებო 25 000 000 არასაყოფაცხოვრებო 23 000 000	საყოფაცხოვრებო 26.418 - 35.121 არასაყოფაცხოვრებო 55.579 - 60.667
9	ს.პ.ს "მღებრიშვილი"	გურჯ. რ-ნი, ს. ველისციხე, 9 აპრილის ქ.№31	595 15 39 10	საყოფაცხოვრებო 630 000 არასაყოფაცხოვრებო 20 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 65.49
10	ს.ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ.№74ბ	032 2 915 315(115)	საყოფაცხოვრებო 8 250 000 არასაყოფაცხოვრებო 60 750 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 55.478
11	სს ,,საქორგგაზი"	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №13	2 54 94 30	საყოფაცხოვრებო 5 167 232 არასაყოფაცხოვრებო 3 536 646	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო 53.873 - 66.644
12	შ.პ.ს "განთიადი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალა	577 90 35 09	საყოფაცხოვრებო 620 000 არასაყოფაცხოვრებო 9 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 54.614
13	შ.პ.ს "ორუჯევი და ჯანმრთელობა"	გარდაბანის რ-ნი,სოფ.ყარათაკლა	599 17 36 97 Ela-42@mail.ru	საყოფაცხოვრებო 250 000 არასაყოფაცხოვრებო 750 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 54.568
14	შპს ,,სართიჭალაგაზი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ.სართიჭალა, კოსტავას ქ.#145	0(790) 47 55 77 sartichalisgazi@mail.com	საყოფაცხოვრებო 1 500 000 არასაყოფაცხოვრებო 870 000	საყოფაცხოვრებო 26.382 - 28.11 არასაყოფაცხ. 60.21 - 61.48
15	ს.ს ,,ენერგოკავშირი"	ქ. თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპ. №13	0(32) 264 28 69 599 97 28 18 energokavshiri@caucasus.net	საყოფაცხოვრებო 8 400 000 არასაყოფაცხოვრებო 450 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 50.85
16	სპს "გოგოჭური და კომპანია"	გარდაბანი, სოფ. გამარჯვება	592 80 40 10 599 70 47 37 etupuria@mail.com	არასაყოფაცხოვრებო 3 000 000	არასაყოფაცხოვრებო - 62.7
17	შპს ,,არზუ-გაზი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ.ვახტანგისი	599 16 03 56	საყოფაცხოვრებო 200 000	საყოფაცხოვრებო - 26.382
18	ს.ს ,, საჩხერეგაზი"	ქ. საჩხერე. თამარ მეფის ჩიხი №8	8(435) 22 51 15 sachkeregazi@yahoo.com	საყოფაცხოვრებო 4 450 000 არასაყოფაცხოვრებო 2 350 000	საყოფაცხოვრებო - 24.665 არასაყოფაცხოვრებო 63.649 - 69.1
19	შპს ,,აჭარის ბუნებრივი აირი"	ქ. ბათუმი, ჯინჭარაძის№15	0(422) 27 76 46 577 76 76 98 aba@mail.ru	საყოფაცხოვრებო 144 000 არასაყოფაცხოვრებო 816 000	საყოფაცხოვრებო 26.38 - 35.080 არასაყოფაცხოვრებო 55.54 - 58.145
20	შპს ,,გამ"	ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი #67	0(32)224 25 90. nininikuradze@yahoo.com	არასაყოფაცხოვრებო 1 500 000	არასაყოფაცხოვრებო - 58.52
21	შპს ,,ყამარი"	ქ. თბილისი, მუხიანი 2, გამარჯვების ქ. #2	595 25 05 00 595 13 32 33 555 17 85 10	საყოფაცხოვრებო 1 650 000 არასაყოფაცხოვრებო 150 000	საყოფაცხოვრებო - 26.8 არასაყოფაცხოვრებო - 58.4
22	შპს ,, ვარკეთილაირი"	ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, III-ა მ/რ, კორპ. 335	0(32)227 50 40 0(32)227 50 30 varketilairi@gmail.com	საყოფაცხოვრებო 11 000 000 არასაყოფაცხოვრებო. 800 000	საყოფაცხოვრებო - 27.01 არასაყოფაცხოვრებო - 52.44
23	შპს ,,დიდი დიღომი"	ქ.თბილისი,დ. თავდადებულის ქ. №22	0(32) 253 34 36, info@didi-digomgaz.ge	საყოფაცხოვრებო 9 000 000 არა საყოფაცხოვრებო 500 000	საყოფაცხოვრებო - 27.431 არასაყოფაცხოვრებო - 52.53
24	შპს ,,ტაბა"	ქ.თბილისი, ტაბახმელა	599 94 59 03. 593 22 99 61	საყოფაცხოვრებო 192 000 არასაყოფაცხოვრებო 17 500	საყოფაცხოვრებო - 27.432 არასაყოფაცხოვრებო - 52.534
25	შპს ,, დივიეს"-ი	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალა	577 90 35 09	საყოფაცხოვრებო 10 000 არასაყოფაცხოვრებო 680 000	საყოფაცხოვრებო - 26.377 არასაყოფაცხოვრებო 50.831 - 59.305

26	შპს ,, ენერგია +"	ქ. ქუთაისი, ზ.გამსახურდიას ქ#58	577 90 06 62	არასაყოფაცხოვრებო 900 000	არასაყოფაცხოვრებო - 60.77
27	შპს ,,გასკო+"	სენაკი, წმ. ნინოს ქ. #1	0 (413) 27 67 14 gaskopliusi@mail.ru	საყოფაცხოვრებო 1 700 000 არასაყოფაცხოვრებო 1 300 00	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 63.415
28	შპს ,,აკრიანი 2006"	გარდაბანი, ს. მარტყოფი	595 58 65 86	საყოფაცხოვრებო 291 727 არასაყოფაცხოვრებო 8 663	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 72.149
29	შპს ,,ჩირაღდანი XXI საუკუნე"	ქ. თბილისი, ქებურიას ქ.#59	0(32) 254 12 37	საყოფაცხოვრებო 1 929 776 არასაყოფაცხოვრებო 149 730	საყოფაცხოვრებო - 27.43 არასაყოფაცხოვრებო - 52.53
30	შპს ,, ვერსალი"	სიღნაღის რ-ნი, სოფ.ბოდბე	599 77 33 20	საყოფაცხოვრებო 650 000 არასაყოფაცხოვრებო 0	საყოფაცხოვრებო - 26.382
31	შპს ,,წალკაგაზი"	ქ.წალკა, ხრამჰესის ქ. №8	0(363) 22 1041 vaferian44@mail.ru	საყოფაცხოვრებო 172 183 არასაყოფაცხოვრებო 236 717	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 53.924
32	შპს ,,ბორჩალო+"	ქ. თბილისი, თემქა, მე-2 მ/რ, I კვარტალი, კორპ.16, ბინა 13	599 92 35 45 gogi-giorgi@rambler.ru	საყოფაცხოვრებო 150 000 არასაყოფაცხოვრებო50 000	საყოფაცხოვრებო - 26.36 არასაყოფაცხოვრებო - 56.889
33	შპს ,,სახლხო ექსპრეს სერვისი"	თბილისი, წერეთლის გამზ.141	593 77 57 75 saxalxo@hotmail.com	საყოფაცხოვრებო 1 145 000 არასაყოფაცხოვრებო 55 000	საყოფაცხოვრებო - 27.203 არასაყოფაცხოვრებო - 53.563
34	შპს ,,ეს ჯი გაზ კომპანი"	ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ.#100	599 32 53 98	საყოფაცხოვრებო 12 525 000 არასაყოფაცხოვრებო 2 575 000	საყოფაცხოვრებო 26.4 არასაყოფაცხოვრებო 61.8
35	შპს ,,ჩირაღდანი"	ლაგოდეხი სოფ. ცოდნისკარი	599 91 38 93	საყოფაცხოვრებო 119 500	საყოფაცხოვრებო 26.382
36	შპს ,,ვაკე"	ქ. თბილისი ელ.ახვლედიანის ქ. #30	591 25 73 52 ltdvake@mail.ru	საყოფაცხოვრებო 450 000 არასაყოფაცხოვრებო 100 000	საყოფაცხოვრებო 27.432-30.198 არასაყოფაცხოვრებო - 51.37
37	შპს ,,მამედ	მარნეული სოფ. ყიზილაჯლო	577 42 64 75 mamed1947@mail.ru	საყოფაცხოვრებო 760 000 არასაყოფაცხოვრებო 260 000	საყოფაცხოვრებო 26.86 - 33.39 არასაყოფაცხოვრებო - 60.76

* თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) — ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19. +995 032 2 42 01 80

◎ თუ კვლავ აღორძინება გვინდა

სახელმწიფომ ქმედითად უნდა შეუწყოს ხელი ეროვნულ აკადემიას!

დღეს ჩვენი არცთუ ისე სახარბიელო ვითარების ერთ-ერთი გამოხატულება გახლავთ ის, რომ მეცნიერება და მეცნიერები, მაინცდამაინც, დიდ პატივში არ არიან, ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მარგინალებად არიან გადაქცეულნი. ეს ზოგადი მოვლენაა და განსაკუთრებით ფუნდამენტურ მეცნიერებას და მის წარმომადგენლებს ეხება. მაგრამ, ვფიქრობ, ყველამ კარგად უნდა შეიგნოს, რომ გამოყენებითი მეცნიერების ყოველგვარი წარმატება ფუნდამენტური მეცნიერების საფუძველს ეყრდნობა.

ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მეცნიერებას, სამწუხაროდ, ფუფუნებად, ხოლო მეცნიერებს საზოგადოების წურბელებად თვლიდა და თვლის. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ილია ამბობდა, რომ „მეცნიერება — ღონეა იმისთანა, რომელსაც წინ ვერაფერი უდგება". ეს შეგონება მით უფრო აქტუალურია დღეს.

საჭირო არ არის, ალბათ, სიტყვის ჩამოგდება იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე, რომ საქართველო და მისი მეცნიერებათა აკადემია ცნობილი იყო დიდი მეცნიერებით, რომელთაც სხვადასხვა სამეცნიერო დარგებში (მათემატიკა, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია ...) დაიმკვიდრეს საერთაშორისო სახელი.

ცნობილია ისიც, რომ დღეს ქვეყანათა, მით უმეტეს ისეთი პატარა ქვეყნის, პრესტიჟი, როგორიცაა საქართველო, საზოგადოების კულტურის, ანუ მეცნიერებისა და ხელოვნების დონით შეიძლება მხოლოდ განისაზღვროს და არა სამხედრო თუ ეკონომიკური სიძლიერით.

ამ თვალსაზრისით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, სწორედ როგორც ქვეყნის ფუნდამენტური მეცნიერების წარმმართველ ცენტრს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დღეს კი ჩვენი აკადემია ფრიად შეჭირვებულ მდგომარეობაშია.

სხვას რომ ყველაფერს თავი გავანებოთ, ისიც კი საკამათო გახდა, საჭიროა თუ არა აკადემიის ე.წ. წევრ-კორესპონდენტთა არსებობა.

გამომდინარე იქიდან, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ქვეყნის სამეცნიერო დონის ამაღლებისა და პოტენციალის შენარჩუნების საქმეში ჩვენი აკადემიის ნამდვილ წევრებს, პირადად მე ვფიქრობ, რომ წევრ-კორესპონდენტთა ინსტიტუტი, როგორც საამისო გარკვეული საფეხური, სრულიად აუცილებელია.

საერთოდ კი, თუ გვინდა კვლავ ავღორძინდეთ, როგორც პრესტიჟული ერი და სხვის ხელში სათამაშო უსახურ ბრბოდ არ გადავიქცეთ, ამის ერთ-ერთი პირობა მგონია სახელმწიფოსაგან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ქმედითი ხელის შეწყობა.

დავით მუსხელიშვილი,
აკადემიკოსი

◎ აუდიტი

ბიუჯეტის კუთვნილ გადასახადებთან ხუმრობა არ ღირს

სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაზე ზრუნვა, უწინარესად, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების პრეროგატივაა. ამდენად, როგორც ჩანს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ახლო მომავალში, კერძოდ კი, 2015 წლის დამდეგიდან, საქართველოში ალტერნატიული აუდიტორული სისტემა აღარ იარსებებს, ხოლო ყველა დონის გადასახადების გადამხდელთა ფინანსურ მდგომარეობას მხოლოდ სამინისტროს შემოსავლების სამსახური შეამოწმებს.

უნდა ითქვას, რომ ალტერნატიულმა აუდიტმა, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, არ გაამართლა, რადგან მის მუშაობას გარკვეული ხარვეზები ახლდა და ამის დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად მხოლოდ ორი ციფრს ასახელებენ: **არსებობის ოთხი წლის მანძილზე ალტერნატიულმა აუდიტორულმა ფირმებმა ათი ათასზე მეტი გადასახადის გადამხდელი შეამოწმეს, რის შედეგად ამ უკანასკნელებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრათ. არადა, იმავე პერიოდში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტორებმა, ალტერნატიულ ფირმებთან შედარებით ბევრად ნაკლები მეწარმე სუბიექტი — დაახლოებით რვა ათასი გადასახადის გადამხდელი შეამოწმეს — სამაგიეროდ, მათ მიერ ბიუჯეტში დარიცხულმა მთლიანმა თანხამ 1,2 მილიარდ ლარს გადააჭარბა.**

უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად, ალტერნატიული აუდიტის ინსტიტუტის დამკვიდრებისას, მათთვის სამი — I, II და III კატეგორია განისაზღვრა, შემდეგ მხოლოდ ორკატეგორიან სისტემაზე გადავიდნენ. ერთი წლის წინათ ტესტების სახით ჩატარებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში დაახლოებით ორი ათასმა ალტერნატიულმა აუდიტორობის პრეტენდენტმა და მოქმედმა აუდიტორმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა დადგენილი ზღვარი მხოლოდ 300-მდე კაცმა გადალახა, რომლებმაც, კვალიფიკაციის შესაბამისად, კატეგორიის მისაღებად შემოსავლების სამსახურის კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება მიიღეს. შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, **იმ 298 პრეტენდენტიდან I კატეგორია არც ერთ აუდიტორს არ მინიჭებია, ხოლო II კატეგორია მხოლოდ 120-მა კაცმა მიიღო. ამ უკანასკნელებს კი მხოლოდ იმ კომპანიების ფინანსური შემოწმების ნებართვა დართეს, რომელთა წლიური ბრუნვა 500 ათას ლარს არ აღემატება.** ასევე აღნიშნავენ იმასაც, რომ სახელმწიფო და ალტერნატიულ აუდიტებს შორის დარიცხულ თანხებში მილიარდ ლარზე მეტ სხვაობას რამდენიმე ობიექტური მიზეზი აქვს. კერძოდ კი, უმთავრესი ისაა, რომ **ალტერნატიულ აუდიტორებს მსხვილ გადამხდელთა შემოწმების უფლება არ ჰქონდათ,** რაც სავსებით დამაჯერებლად ხსნის 1,1 მილიარდ ლარზე მეტ სხვაობას. თუმცა კი, ამის მიუხედავად, **მეწარმეთა ერთი ნაწილი ეჭვობს, რომ ალტერნატიული აუდიტის ინსტიტუტის მოშლა, სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციული რეგულაციების გამკაცრებას ნიშნავს, რაც მომავალში მეწარმეობას კარგს არაფერს უქადის.**

ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს უნდობლობა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რადგან 2010 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, როცა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით აუდიტის ალტერნატიული სამსახური შეიქმნა, ამის მთავარი მიზეზი უკლებლივ ყველა მეწარმის შემოწმება იყო. შესაბამისი უფლებამოსილების კერძო აუდიტორებს, გადასახადის გადამხდელის შემოწმების შემდეგ, მისთვის საგადასახადო აქტის გამოწერის უფლება ჰქონდათ, რომელიც შემოსავლების სამსახურის ინსპექტორის მიერ გამოწერილი აქტის ტოლი ძალის მქონე იყო.

— ისიც უნდა ითქვას, რომ იმას, თუ ვინ შეამოწმებს ფინანსურად, რომელი ალტერნატიული აუდიტორი, ამას მეწარმე კი არ ირჩევს — გადაწყვეტილებას ამის თაობაზე ისევ შემოსავლების სამსახური იღებს და, როგორც წესი, ალტერნატიულ აუდიტორებს მხოლოდ დაბალი რისკის მქონე კომპანიების შემოწმების უფლებას აძლევს, — აცხადებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხატია მოისწრაფიშვილი. — შესაბამისად, როცა მავანნი იმაზე ლაპარაკობენ, რომ ამ გადაწყვეტილებით ბიზნესი იზარალებს, მართებული არ არის, ვინაიდან მეწარმეს ალტერნატიული აუდიტორის არჩევის შესაძლებლობა არც ამჟამად არა აქვს.

— დღესდღეობით მოქმედი საგადასახადო ადმინისტრაციის პრინციპი არა უკლებლივ ყველა გადასახადის გადამხდელის შემოწმებაა, არამედ მაღალი რისკის მქონე კომპანიებზე ფხიზელი ფინანსური კონტროლი, — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში. — საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გვირჩევენ, რომ იმ გადამხდელთა სეგმენტზე გათვლილი აღსრულების პოლიტიკა გავატაროთ, რომლებიც მხოლოდ მაღალი რისკის მქონე კომპანიებს წარმოადგენენ.

რაც შეეხება ალტერნატიული აუდიტორის ინსტიტუტს, მის წარმომადგენელთა საქმიანობაში საკმაოდ ბევრი დარღვევა იყო გამოვლენილი, რაც შემდგომ სასამართლო დავის საგნად იქცა. მათ შორის, კერძო აუდიტორის მიმართ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეც კია აღძრული, რისი მსგავსი ზომები შემოსავლების სამსახურის ინსპექტორთა მიმართ არ გატარებულა. კონკრეტულად კი საქმე გადასახდელი გადასახადების თანხების მნიშვნელოვან შემცირებას ეხება, რის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი დიდად იზარალებდა.

ოთარ ტურაბელიძე

ᲓᲘᲐᲡᲞᲝᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲫᲐᲚᲐᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ **დევნილი მოზარდები ანაკლიის ბანაკში ორ კვირას გაატარებენ. ეს არის მეორე ჰუმანიტარული აქცია, რომელსაც საქართველოს მთავრობა უკრაინასთან დაკავშირებით ატარებს. როგორც იცით, პირველი იყო ჯანდაცვის სამინისტროს ეგიდით განხორციელებული დახმარება წამლებითა და მედიკოსებით.**

ვესაუბრებით სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში ᲒᲔᲚᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡ, რომელიც სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზეც მოგვაწვდის ინფორმაციას.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲔᲚᲐ, ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის ეს აქცია, რადგან უკვე საზღვაო სეზონი მთავრდება? თანაც გვახსოვს, ნაციონალები რომ „გამათრახებდნენ“ უკრაინის მიმართ გამოჩენილი გულგრილობის გამო.

— მართლაც, ბევრს გაუჩნდა კითხვა, რატომ აქამდე არ გავაკეთეთ ეს. საქმე ის არის, რომ ანაკლიის ბანაკი სექტემბრის შუა რიცხვებამდე დაკავებული იყო. ის მხოლოდ 200 ბავშვზეა გათვლილი, სადაც ისვენებდნენ ქართველები, მათ შორის დიასპორის წარმომადგენელი მოზარდები. ანუ ამ დრომდე მოქმედი და დატვირთული იყო. თუმცა, ამის პარალელურად ინტენსიური მოლაპარაკებები გვქონდა უკრაინულ მხარესთან, რომელიც მოსამზადებელ სამუშაოებს ეწეოდა, რასაც, ბუნებრივია, დრო დასჭირდა. ამაში ჩართული იყვნენ როგორც ჩვენი, ასე სპორტისა და ახალგაზრდობის და საგარეო საქმეთა სამინისტროები, საქართველოს საელჩო უკრაინაში, ფინანსთა სამინისტრო. მოკლედ, ძალიან აქტიური კოორდინაცია შედგა ჩვენ შორის. პირადად გავფრინდი უკრაინაში და ჩამოვიყვანე 13-დან 18 წლამდე ასაკის 120 ბავშვი, 10 უკრაინელ მასწავლებელთან ერთად. ისინი ძირითადად არიან ლუგანსკიდან, დონეცკიდან დევნილები, მათ შორის, ის ბავშვები, რომელთაც მშობლები მაედანზე დაეღუპათ. ძალიან გახარებულები იყვნენ, გამოავლინეს მაღალი კულტურა, ორგანიზებულობა... ბავშვები მგზავრობით ძალიან რომ არ გადაღლილიყვნენ, თვითმფრინავი კოპიტნარის აეროპორტში დაჯდა. აქ დახვდათ სპეციალური ავტობუსები, რითაც გადავიყვანეთ ანაკლიაში. იმერეთის გუბერნატორისა და ქუთაისის მერის ორგანიზებით ქართველმა ბავშვებმა ძალიან თბილი დახვედრა მოუწყვეს: ყვავილებით, ტკბილეულით... ანაკლიაშიც სხვადასხვა სახის ღონისძიებები არის დაგეგმილი. გართობა, შემეცნებითი საღამოები... ექნებათ უმაღლესი ხარისხის კვება, ბავშვები ორი კვირის განმავლობაში დარჩებიან.

— გაგრძელდება თუ არა აქცია?

— ამას უკრაინაშიც გვეკითხებოდნენ. სამწუხაროდ, ყველაფერი დაკავშირებულია ფინანსებთან. ჩვენ შევეცადეთ, რომ უკრაინულ მხარეს არც ერთი თეთრი არ დაეხარჯა... თანაც საზღვაო სეზონიც გადის. განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო, თუ როგორ გულშემატკივრობდა ამ პროცესს ირაკლი ღარიბაშვილი. ხშირად რეკავდა, რას შვებით, რა ხდება, როდის ჩამოგყავთ ბავშვებიო, რაც ძალიან მისასალმებელია, ჩემი აზრით.

— მოდით, სხვა ღონისძიებებზეც ვისაუბროთ... რამდენად აქტიურობს თქვენი სამინისტრო?

— ვფიქრობ, თუ ობიექტურად შეაფასებენ ჩვენს საქმიანობას, საზოგადოება დარწმუნდება, რომ საკმაოდ საინტერესო სამუშაოები გვაქვს ჩატარებული. ბევრი საჭირო პროექტი განვახორციელეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აგვისტოში ჩვენი სამინისტრო გახდა წევრი საერთაშორისო დიასპორული ჩართულობის ალიანსისა. პოსტსაბჭოური სივრციდან ჩვენ გავხდით პირველები ამ კუთხით. ალიანსის დამფუძნებლები არიან ჰილარი კლინტონი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჰარვარდ ფაუნდეიშნი, რომლის კაპიტალი 15 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამ ხალხმა დაინახა, რომ ჩვენ გვაქვს წინსვლა, ნოვაციები, ისეთი სამოქმედო მექანიზმები, რომ ღირსები ვართ, გვაღიარონ საკუთარ წევრად. დიასპორის მიმართულებით მსოფლიოში არ არსებობს ამაზე უფრო სერიოზული ორგანიზაცია.

— და რას გულისხმობს წევრობა?

— ამ ალიანსის ფარგლებში 12-18 ოქტომბრამდე პირველად საქართველოში გაიმართება გლობალური დიასპორული კვირეული. ჩატარდება ეკონომიკური ფორუმი, სადაც განიხილება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ახალი რეგულაციები, დიასპორული ინვესტიციები. ჩამოგვყავს დიასპორის წარმომადგენელი რამდენიმე საშუალო დონის ბიზნესმენი, აქ დავახვედრებთ ეკონომიკის ექსპერტებს რეგიონიდან, ფერმერთა კავშირის წარმომადგენლებს და ა. შ. ევროპული ქვეყნებიდან ჩამოვლენ სტუმრები, სულ დაახლოებით 150 კაცზე იქნება გათვლილი კონფერენცია.

ასევე კვირეულის ფარგლებში მოეწყობა მარათონი. მეც ვაპირებ მონაწილეობის მიღებას. სირბილს დავიწყებთ უკრაინის საელჩოდან, უკრაინელი ხალხის სოლიდარობის ნიშნად, მარათონი დამთავრდება თავისუფლების მოედანზე. ამ აქციის მიზანია დიასპორის წინაშე არსებულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, მაგალითად, ისეთებზე, როგორიც არის მათი ღირსეული დაბრუნების საკითხები, ასევე, სოციალური გმირობა, რასაც ისინი თავისი ყოველდღიური ყოფით აჩვენებენ. წარმოგიდგენიათ, რომ 2 მილიარდამდე დოლარს რიცხავენ ყოველწლიურად დიასპორის წარმომადგენლები საქართველოში... ამერიკელები მიხვდნენ, რომ დიასპორა დიდი ძალაა, ამას მიხვდნენ სომხები დიდი ხანია, მიხვდნენ კენიაში, პორტუგალიაში... ყველგან, ამიტომ მინდა, რომ ჩვენც ამ თემაზე უფრო სერიოზული ფიქრი დავიწყოთ.

კონფერენციის მესამე-მეოთხე დღეები მიეძღვნება 1924 წლის აჯანყებას. ლევილიდან ჩამოგვყავს ჩვენი თანამემამულეები, ჩართული იქნებიან ადგილობრივი სამეცნიერო წრეები, გაიხსნება მემორიალური დაფა ჭიათურაში. ასევე ჩატარდება ახალგაზრდა დიასპორების მონაწილეობით კონკურსი — „ხიდი სამშობლოსთან“ და კიდევ სხვა ღონისძიებები.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲬᲐᲡᲣᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 2 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲐᲛᲓᲔ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲠᲘᲪᲮᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

სავარაუდოდ, გლობალური დიასპორული კონფერენცია ჩატარდება ყოველ წელიწადს და მას უფრო ეკონომიკური დატვირთვა ექნება.

— ამხელა პროექტს ვინ დააფინანსებს?

— ეს მოხდება საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რათა არ „შევაწუხოთ“ არც თუ ისე მდიდარი ქართული ბიუჯეტი.

— სამინისტროს ბიუჯეტი რამდენს შეადგენს?

— 900 ათასი ლარი წელიწადში. სულ 35 თანამშრომელი გვყავს. და ეს თანხა ძირითადად ხელფასებზე არის გათვლილი. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ აზერბაიჯანის დიასპორის ბიუჯეტი ნახევარი მილიარდი დოლარია.

— თქვენ ახსენეთ დიასპორული ინვესტიცია. რა იგულისხმება ამაში?

— როგორც გითხარით, ჩვენ გვესტუმრებიან საშულო დონის ბიზნესმენები, რომლებიც არიან ძიების პროცესში, წამოიწყეს ეკონომიკური საქმიანობა და გააკეთეს ინვესტიცია. ვთქვათ, სადღაც სოფელში იყიდეს პლანტაცია და უნდათ, დაასაქმონ ადამიანები, დანერგონ ახალი ტექნოლოგიები და სხვ.

— რა პრობლემები აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენს სამინისტროს მიმართავენ?

— რატომ გგონიათ, რომ ჩვენთან მხოლოდ პრობლემების გამო მოდიან?! მაგალითად, ძალიან კარგი დიასპორა გვყავს გერმანიაში. წლეულს რამდენიმე ადამიანი მივიღე, რომელთაც პროგრამების კეთების გამოცდილება აქვთ, ასევე აქვთ ფული და სურთ, გახსნან დიასპორული სახლი...

— დიასპორული სახლი საქართველოში?

— დიახ, საქართველოში. ეს იქნება ღია სივრცე, სადაც ჩატარდება ღონისძიებები სხვადასხვა სფეროში, ადამიანები შეხვდებიან ერთმანეთს, ისაუბრებენ, იდეებს გაუზიარებენ. გვექნება სარეაბილიტაციო კუთხე, გვეყოლება ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და სხვა.

აქვე გეტყვით, რომ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, რათა შევქმნათ „დიასპორა ბანკინგი“. მაგალითად, დიასპორულ გადმორიცხვებზე დაწესდება დაბალი პროცენტები, იგეგმება დაგროვებითი, შეღავათიანი სისტემის შექმნა. ამან ძალიან კარგად იმუშავა კენიაში... სომხეთში... ეს იდეა ძალიან მოეწონა პრემიერ-მინისტრს, შევხვდით ეკონომიკური საბჭოს და რამდენიმე ბანკის წარმომადგენელს. ვაპირებთ პირველად ეს პროექტი განვახორციელოთ საბერძნეთ-საქართველოს მაგალითზე.

— მაგრამ, ძალიან დიდი დიასპორა გვყავს რუსეთში; ქვეყანაში, რომელთანაც არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა. რა ხდება ამ კუთხით, როგორ ახერხებთ კომუნიკაციას და რამდენად ეფექტიანად?

— დიახ, რუსეთში ერთ-ერთი უდიდესი დიასპორა გვყავს. მაგრამ შეზღუდული გვაქვს გადაადგილება. კავშირი, ჯერ-ჯერობით, ისაა, რომ აქეთ ჩამოდიან, იქით ვერ ჩავდივართ. ამას წინათ კორესპონდენტი გამოგზავნა მიხეილ ხუბუტიამ, ინტერვიუ მივეცი. მოსული იყო ბატონი ზურაბ აბაშიძე, რომელსაც მოჰყვა ბატონი ხომერიკი. გვაქვს „სკაიპით“ კავშირები. ეს არ არის რაღაც განსაკუთრებით ფართო მასშტაბის ურთიერთობები, მაგრამ საკმაო კონტაქტები გვაქვს.

სამწუხაროა, რომ დიასპორული საქმიანობა რუსეთში არ არის მაღალ დონეზე, ბევრი პატარა ქართული დიასპორა დაიხურა. ზოგს ბიზნესი არ წაუვიდა (როგორც წესი, დიასპორებს სათავეში შეძლებული ადამიანები უდგანან და თუ მათ შეექმნებათ პრობლემა, დიასპორასაც უჭირს).

— ბევრი არის გასული ქვეყნიდან არალეგალურად. რა ხდება ამ შემთხვევაში?

— არალეგალები ცალკე თემაა.

დიასპორა კლასიკური გაგებით შედგება იმ ადამიანებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობენ უცხოეთში, ჰყავთ ოჯახი, საქმიანობენ, აქვთ დიასპორული ორგანიზაცია, საკვირაო სკოლა, ანსამბლი...

მაგრამ გუშინწინ წასული ადამიანი საზღვარგარეთ, დიასპორა ვერ იქნება. ამიტომ მართებულად უნდა მოხდეს ამის დეფინიცია. ჩვენ ვართ დიასპორის სამინისტრო, რომელსაც აქვს მწირი ბიუჯეტი. არალეგალები უფრო მიგრაციის დეპარტამენტის კომპეტენციაა. მაგრამ აქვე ერთმნიშვნელოვნად ვამბობ, რომ ჩვენ ხელს არ ვიბანთ პილატეს მსგავსად. მე ყველა ჩემი თანამშრომელი მკაცრად გავაფრთხილე, რომ უყურადღებოდ არ დატოვონ არც ერთი აქ მოსული ადამიანი, ყველას უნდა მიყვნენ ბოლო კარებამდე, არა აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება პროფილურად თუ არაპროფილურად. მაგალითად, ზოგს ჰგონია, რომ ჩვენი სამინისტროს პრეროგატივაა, ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, მიცვალებულთა ჩამოსვენება, თუმცა, ეს ჯანდაცვის სამინისტროს გასაკეთებელია. ჩვენ ვაკეთებთ კოორდინაციას, ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ვაკვალიანებთ ადამიანებს, მოკლედ, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ ერთგვარი პროვაიდერი.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲐᲛᲘᲡ **შესახებ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელზეც ერთი წლის განმავლობაში მისი რექტორად მუშაობის ანგარიში წარადგინა.**

როგორც ვლადიმერ პაპავამ განმარტა, დასავლეთის სახელმწიფოების უნივერსიტეტებში, უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების შენატანი ბიუჯეტში მხოლოდ 10 პროცენტია, მეტი წილი სახელმწიფოს მხარდაჭერაზე მოდის, საქართველოში კი სახელმწიფოს მხარდაჭერა ნულის ტოლია.

პაპავამ განმარტა, რომ დღეისთვის უნივერსიტეტში სწავლის საფასური 2250 ლარს შეადგენს, არის ისეთი პროფესიები, რომელშიც სტუდენტის მოსამზადებლად ბევრად უფრო მეტი დანახარჯია საჭირო, კერძოდ, ქიმიის, სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების მოსამზადებლად.

თსუ-ს რექტორის განმარტებით, მათ არ შეუძლიათ გაზარდონ სწავლის საფასური, ან მოახდინონ დიფერენცირება, რადგანაც სახელმწიფოს გრანტის ოდენობა სწორედ 2250 ლარს შეადგენს. უნივერსიტეტის რექტორი სახელმწიფოსაგან პირდაპირ დაფინანსებას ითხოვს და იმედოვნებს, რომ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამის ასახვა მოხდება.

პაპავას განცხადებით, თუ უნივერსიტეტს დაფინანსება მიეცემა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოხდება პროექტის შედგენა, რაში უნდა დაიხარჯოს გამოყოფილი თანხა და შემდეგ ამ თანხის ხარჯვას უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო გააკონტროლებს.

ვლადიმერ პაპავას თქმით, უნივერსიტეტის I კორპუსი ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით გარემონტდა, დანარჩენ კორპუსებში კი, სავალალო მდგომარეობაა და რემონტს საჭიროებს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

ექიმი, რომელიც ადამიანთა სულებს კურნავდა

ბიძინა მგალობლიშვილი - 95



ჯვართამაღლების დღესასწაულზე, რომელიც სოხუმის დაცემის შემდეგ საქართველოსთვის ტრაგიკულ თარიღად იქცა, ვიგონებთ იმ დღეს გარდაცვლილებს, მოკლულებს, დაკარგულებს... ვიხსენებთ დიდი გულისტკივილით, დარდით.

27 სექტემბერს აფხაზეთში დახვრიტეს სოხუმის კოლორიტი, გამოჩენილი ექიმი და მოღვაწე ბიძინა მგალობლიშვილი. აფხაზმა სეპარატისტებმა 74 წლის ექიმი სამშობლოს ერთგულებისთვის მოკლეს.

ბიძინა მგალობლიშვილისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1993 წლის სექტემბერი, თუმცა კი, სექტემბერში იყო დაბადებული. ენკენისთვის 20-ში, 1919 წელს სოფელ მარანში დაიბადა. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. თბილისში წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი... 1951 წლიდან კი მთელი მისი მოღვაწეობა და ცხოვრება აფხაზეთს უკავშირდება. ჯერ იყო ავტონომიური რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი, შემდეგ გადაჰყავთ აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ხოლო სიცოცხლის ბოლომდე აფხაზეთის მთავარი ფსიქიატრი და სოხუმის უნივერსიტეტის დოცენტი იყო. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

რაოდენ საამაყოა, რომ ბატონი ბიძინას სამივე ვაჟი და ოთხივე ქალიშვილი მამის პროფესიის ერთგულები დარჩნენ — ექიმები არიან.

მისმა ვაჟმა, ასევე ცნობილმა ფსიქიატრმა შალვა მგალობლიშვილმა დიდი ძალისხმევა გასწია, რათა ღირსეული წინაპარი ღირსეულად მიებარებინა მშობლიური სოფლის მიწისთვის. მგალობლიშვილთა ძალთშესალაგის ადგილზე კი ჯვართამაღლების სახელობის ტაძარი ააგო.

არამხოლოდ როგორც პროფესიონალს, არამედ როგორც კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის თაყვანისმცემელს ისე იგონებენ ბატონ ბიძინას მისი მეგობრები, ადამიანის სულის მკურნალი არც შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო.

ბიძინა მგალობლიშვილის მრავალმხრივი კეთილსახიერება კარგად ჩანს აფხაზი ჟურნალისტის, ამჟამად „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორის ნიკოლოზ ხაშიგის ნარკვევში, რომელიც 1987 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“.

ბავშვობის ხანა — სიცოცხლისა და მომავლის სიმბოლოა.

სწორად უთქვამთ — სახლში, სადაც ბავშვი არ არის, არც მხიარულებაა. პოეტები ხომ მზის სხივსა და ყვავილთა კოკრებს ადარებენ ბავშვობას. მართლაც სასიამოვნო ეპითეტებია; მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში სხვადასხვაგვარად ხდება, და ხდება ისე, რომ ბავშვის სიცოცხლე, რომელსაც იმედით შესციცინებენ მშობლები, მორევში ჩათრეულ ყვავილსაც ემსგავსება.

პატარა ვოვას ცხოვრებას სწორედ იმ საბედისწერო ყვავილის ხვედრი ერგო. დროთა მდინარებაში იზრდებოდა იგი, ოჯახის სიხარული და სიამაყე, მაგრამ ადრეულ ბავშვობაში მიღებულმა ტრავმამ მძიმე შედეგი გამოიღო — მოზარდი ფსიქიკურად დაავადდა, რომლის სიმძაფრეც უფრო და უფრო იჩენდა თავს. ყოველ ავადმყოფობას წამალიც მოეპოვება, ოღონდაც ძებნა სჭირდებაო — ესეც უთქვამთ. ჰოდა, საავადმყოფო გახდა ვოვასთვის მშობლიური სახლი, ხოლო ექიმები და ექთნები — მახლობელი ადამიანები. მისი სავსებით გამოჯანსაღება კი მაინც ვერ მოხერხდა, მხოლოდ დროებით წამოაყენეს ფეხზე.

თბილისში სამკურნალოდ ჩასულს ექიმი დაეკითხა თურმე:

— აქ რატომ ჩამოხვედით, თქვენთან ხომ მგალობლიშვილია?

ეს გვარი ვოვასაც სმენია ადრე, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუცია ამ სიტყვებისთვის და, დარწმუნებული, რომ ის ექიმი, უბრალოდ, ვერ შესძლებდა მის განკურნებას, თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. წარმოიდგინეთ, იქაც იგივე გაუმეორეს:

— „თქვენ ხომ მგალობლიშვილი გყავთ?“

— მას შემდეგ ოცი წელი გავიდა, — ამბობს ვოვა. — ბიძინა მგალობლიშვილს მხოლოდ საავადმყოფოში კი არა, სახლშიც მოვინახულებ ხოლმე, როგორც ნათესავსა და ახლობელ ადამიანს. მისი შეწევნით დავუბრუნდი ისევ ცხოვრებას, შევიყვარე იგი და ლექსების წერაც გავბედე.

საუბარი ეხება ნიჭიერ აფხაზ პოეტს ვლადიმერ ახიბას. მე მომეწონა მისი გულისხმიერი სიტყვები, მკურნალის მისამართით ნათქვამი. ლექსიც კი მიუძღვნია მისთვის.

როგორც მრავალი სხვა, მეც ვიცნობ ბ. მგალობლიშვილს. ბევრს, ალბათ, მხოლოდ სმენია მის შესახებ. ის არც პროფესორია, არც აკადემიკოსი, თუმცა კი, მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი, ის — ექიმია! აი, რა არის მთავარი.

ამჟამად სოხუმის სამკურნალო დაწესებულებებს მედიცინის მეცნიერებათა 19 კანდიდატი და ორი დოქტორი ემსახურება. ვფიქრობ, მათ ცოდნასა და გამოცდილებას არ მივაყენებ ჩრდილს, თუ ვიტყვი, რომ მათ შორის მხოლოდ ერთეულებს თუ შეეძლებათ იამაყონ ისეთივე სახელგანთქმულობითა და პატივისცემით, როგორითაც ბ. მგალობლიშვილი სარგებლობს.

ბ. მგალობლიშვილთან ახლო გაცნობამ უფრო განმიმტკიცა მასზე შექმნილი წარმოდგენა (გავიცანი იგი ისევ ვოვა ახიბას მიზეზით, რომლის მონათხრობმა იმდენად ამაღელვა, გადავწყვიტე, როგორც მწერალს, რამდენიმე სტრიქონი დამეწერა მის შესახებ).

გარეგნობით სამოც წელს მიტანებულსა ჰგავს. ადვილად ამყარებს მოსაუბრესთან უშუალო, გულთბილ კონტაქტს, გაცნობიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ყოველგვარი ოფიციალური ეთიკის დაცვის გარეშე, გულახდილად ვსაუბრობდით. ხასიათის რბილ თვისებებთან ერთად ამჟღავნებს დიდ ერუდიციას, უყვარს იუმორი. მედიცინა — ეს მისი სიცოცხლეა.

— მზე ყველას თანაბრად ანათებს, — თქვა საუბრისას ბიძინა ივანეს ძემ. — ექიმმაც ყველას თანაბრად უნდა უწილადოს სითბო და ყურადღება. ეს ჩემი კრედოა.

ეს რომ ასეა, მე მისი პაციენტის ვოვას მაგალითითაც ადვილად დავრწმუნდი.

— სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყოველთვის ასე როდი ხდება, — თქვა სინანულით.

ექიმი ჩაფიქრდა.

— ეს თავისებური მიზეზით აიხსნება, — გამომეპასუხა ბოლოს. — ერთ კარგ მასწავლებელს ვიცნობდი. მასზე ამბობდნენ, ღმერთმა აღმზრდელად გააჩინაო. ბუნებასაც დაეჯილდოებინა საამისო თვისებებით და თვითონაც უშეცდომოდ აერჩია პროფესია. მის ვაჟს მათემატიკა იზიდავდა და მშენებელი ინჟინრის პროფესიამ დაინტერესა, მაგრამ იგი ისეთივე აღიარებული ინჟინერი ვერ გახდა, როგორი პედაგოგიც მამამისი იყო. ერთხელ მასთან სტუმრობისას, შევესწარი, როგორ ეხმარებოდა შვილს გაკვეთილების მომზადებაში და დავრწმუნდი, ისიც, სახელოვანი მამის მსგავსად, მასწავლებლის ნიჭით იყო დაჯილდოებული, პროფესია კი შეცდომით აერჩია. კაცს თუ თავისი პროფესია სიცოცხლის ნაწილად არ ექცა, იგი უბედური ადამიანია.

— ექიმისათვის ეს ორმაგი უბედურებაა — ჩავერთე საუბარში.

— უთუოდ! — დამეთანხმა იგი, — განსაკუთრებით ჩვენს პროფესიაში. ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ ექიმი ვარ, უდავო ჭეშმარიტებაა. ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ხომ ექიმის ხელშია, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა! წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება ჩაიდინოს ექიმმა, რომელმაც შემთხვევით აირჩია თავისი პროფესია, მით უმეტეს მაშინ, როცა თავად სჯერა, რომ ექიმია!

— თქვენ როდისღა ირწმუნეთ, რომ ექიმი ხართ? — მოულოდნელი კითხვით ჩვენი აბსტრაქტული საუბარი მასზე გადავიტანე.

ისევ ჩაფიქრდა. შეეტყო, არ ელოდა ასეთ კითხვას, მაგრამ დიდხანს არ შეყოვნებულა საპასუხოდ.

მკურნალი

— ეს იყო 1952 წელს. მაშინ ახალგაზრდა ექიმი ვიყავი. — გაიხსენა წარსული, — ფსიქიატრიულ დისპანსერში ვმუშაობდი. ერთხელ საკონსულტაციოდ გამომიძახეს მეორე საავადმყოფოში. ექიმმა თ. მილორავამ წარმომიდგინა მძიმე ავადმყოფი, რომელსაც მკურნალი ექიმის მტკიცებით, მენინგიტი უნდა ჰქონოდა, რასაც თან ახლდა ძლიერი ტკივილები. მე მართლაც მესმოდა ავადმყოფის კვნესა და წუხილი. როგორც გაირკვა, სამი წელი სრულდებოდა, რაც ლოგინად იყო ჩავარდნილი. დიდხანს ვსწავლობდი ავადმყოფს, რის შედეგადაც დავასკვენი, მას მენინგიტი არ სჭირდა. შემდეგ დავიწყე კვლევა, როგორ დაავადდა, სად, როდის. მაშინ კი შევძელი დიაგნოზი დამესვა.

სინამდვილეში კი აი, რაში იყო საქმე — 17 წლის გოგონა მშობლების დაუკითხავად ცოლად გაჰყოლია თავის რჩეულს. ლტოლვილებს ტყე-ტყე ხეტიალისას წამოსწევიან ქალის მშობლები, ვაჟის თვალწინ გაუშიშვლებიათ საკუთარი ქალიშვილი და უცემიათ. აქვე ჩაჰკეცვია, თურმე, მუხლები. დიაგნოზი — ისტერიული დამბლა.

— მომეცით ავამდყოფი, — ვუთხარი იქ მყოფთ. — ათ წუთში დავაყენებ ფეხზე.

ითათბირეს და, თუმცა, სასწაულის არ სჯეროდათ, უარი არ უთქვამთ, გადმომცეს. საკაცეთი მოიყვანეს ჩემთან ფსიქოდისპანსერში. სულ ცოტა ხანში ფსიქოთერაპიის დახმარებით წამოვაყენე ფეხზე და მანქანით წავიყვანე საავადმყოფოში, სადაც იგი ადრე მკურნალობდა. წარმოიდგენთ ალბათ, მათ გაკვირვებას, როცა ავადმყოფი ჩემთან ერთად შევიდა ოთახში.

მთავარია — სწორი დიაგნოზის დასმა. იმის გამო, რომ ვერ შეძლეს ამის გაკეთება, ავადმყოფმა სამ წელიწადს იწვალა, აი, მაშინ ვირწმუნე, რომ ექიმი ვიყავი.

— საოცარი შემთხვევაა, — დავეთანხმე, ნაამბობით გაკვირვებული. — მას შემდეგ კიდევ ხომ არ მოუმართავთ თქვენთვის მსგავსი ავადმყოფობის გამო?

— არც ისე ბევრს, მაგრამ იყო შემთხვევები. არ არსებობს ავადმყოფობა, რომელსაც ნერვული აშლილობის ნიადაგზე არ შეეძლოს წარმოშობა. მახსოვს, სვანეთიდან მოიყვანეს ქალი, რომელიც შერყევისაგან დაბრმავებულიყო. ამ ავადმყოფობას „ისტერიული სიბრმავე“ ჰქვია — თვალები ახელილი აქვთ, მაგრამ ვერაფერს ხედავენ. ორ კვირაში დავუბრუნე მას მხედველობა.

— თქვენ მართლაც ექიმად დაბადებულხართ, მაგრამ სხვა პროფესია რომ აგერჩიათ...

— დავრჩებოდი უპროფესიოდ, — სიცილით განაგრძო ჩემი სათქმელი მგალობლიშვილმა. — თუმცა, თანდაყოლილი ტალანტი ყველაფერს როდი ნიშნავს, მას შრომით მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება უნდა ამტკიცებდეს. ექიმი უპირველესად ფსიქოლოგი უნდა იყოს, განუწყვეტლივ სრულყოფდეს თავის ოსტატობას.

— უდავოდ, — დავეთანხმე მე. — ამას წინათ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ საინტერესო ცნობა წავიკითხე — მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად ინგლისელმა ექიმებმა დაამტკიცეს საოცარი ფაქტი: ყოველი 100 ავადმყოფიდან 90 დაავადდა თვითშთაგონებით, რომ ის ავადმყოფია. ამან მომაგონა ლეგენდის მსგავსი, სადღაც ყურმოკრული ამბავი — ერთმა სიკვდილმისჯილმა ითხოვა სიკვდილი, რომელიც ყველაზე ნაკლებ ტანჯვას მიაყენებდა. მოსამართლემ მისი დარბაზიდან გაყვანა ბრძანა, შემდეგ დოქიდან ჭიქაში ჩაასხა წყალი და, როცა უკანვე შემობრუნებულ დამნაშავეს დასალევად გაუწოდა, გააფრთხილა, ჭიქაში საწამლავიაო. დამნაშავემ წყალი დალია და მაშინვე უსულოდ დაეცა ძირს.

— ლეგენდას კი ჰგავს, მაგრამ, შესაძლოა, სინამდვილეშიც მოხდეს, — თქვა ექიმმა. — თვითშეგონება ბევრს ნიშნავს, აკი ინგლისელმა ექიმებმაც დაამტკიცეს ეს.

— რა როლს ასრულებს თქვენს მუშაობაში ფსიქოლოგიური მომენტი, ან როგორ განწყობით ხოლმე შინაგანად ავადმყოფთან მიმავალი? — ვკითხე მას საუბრის დასასრულს.

— ასეთ დროს ყოველთვის ვღელავ. მაწუხებს ფიქრი, იღბლიანი იქნება თუ არა, ჩვენი საუბარი. ჩვეულებისამებრ, ავადმყოფთან ტაქსით არ მივდივარ, საკუთარ მანქანას ვამჯობინებ. მივდივარ აუჩქარებლად, მშვიდად. დაახლოებით ერთ საათს ვანდომებ მასთან საუბარს. ამ დროის განმავლობაში უნდა შევიგრძნო საუბრის შედეგი — როგორია მისი განწყობა საუბრის დაწყებამდე მდგომარეობასთან შედარებით, დაეტყო თუ არა გამოკეთება. თუ ყოველივე კარგად წარიმართა, ეს ნიშნავს — ირწმუნა ჩემი შესაძლებლობა, რაც საკუთარი ძალებისადმი რწმენას მმატებს და ჩემი პაციენტის დარად მეც მიუმჯობესდება განწყობა, ხოლო თუ ჩვენი საუბარი ვერ აეწყო, ეს მარცხს ნიშნავს და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი განწყობა შეიძლება ჰქონდეს დამარცხებულს? რა თქმა უნდა, ცუდი.

ექიმ ბიძინა მგალობლიშვილს კი უმეტესად კარგ გუნებაზე მყოფს ვხედავთ, რაც უთუოდ მის წარმატებულ მუშაობაზე მეტყველებს.

სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი წერს: „დოცენტ ბ. მგალობლიშვილს ჩვენ ვიცნობთ, როგორც მაღალკვალიფიციურსა და ერუდირებულ სპეციალისტს, რომელიც ნაყოფიერ კლინიკურ მუშაობასთან ერთად მეცნიერულ-კვლევით საქმიანობას ეწევა“.

დოცენტი ბ. მგალობლიშვილი 40 ნაშრომისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მოხსენებების ავტორია, რომლებიც ჩატარდა სოხუმში, თბილისსა და მოსკოვში. ის კარგა ხნის მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს ასაკობრივ ფიზიოლოგიასა და ანატომიაში ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ფართო საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა აგრეთვე, როგორც აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრ-სპეციალისტი და როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ნეიროპათოლოგთა და ფსიქიატრთა სამეცნერო-სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე, მინიჭებული აქვს „აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

კიდევ დიდხანს შევყევი საუბარს გულღია მასპინძელთან. ვსაუბრობდით არა მხოლოდ მედიცინის შესახებ, გადავსწვდით ლიტერატურასაც, რომელიც, მისი თქმით, უდიდეს ემოციურ მარაგს აძლევს ადამიანის სულს, ეხმარება მას ავადმყოფობასთან ბრძოლაში, ისევე, როგორც ფერწერული ნამუშევრები თუ მუსიკალური და თეატრალური ნაწარმოებები. განსაკუთრებით მესიამოვნა, როცა საუბრისას ლიტერატურისადმი ინტერესი და სიყვარული გამოამჟღავნა, თქვა, რომ ლექსებსაც წერს და ზოგი მათგანი პერიოდულად პრესაშიც იბეჭდება.

ექიმ ბ. მგალობლიშვილს, თითქოს როგორც პაციენტი, ისე დავცილდი, პაციენტი, რომელიც მადლიერებით ართმევს მას ხელს, — დავცილდი ამაღლებული განწყობით...

ნიკოლოზ ხაშიგი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„არათბილი და არაკომფორტული“

„ნეზავისიმაია გაზეტას“ სტატიაში (ავტორი — ანდრეი ვინოკუროვი), რომელიც სიმონ კილაძემ მოამზადა, განხილულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხი რუსული პრესის მასალების მიხედვით, 2005 წლის პირველი იანვრიდან 2014 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით.

გთავაზობთ შემოკლებით:

პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის მოკავშირეთა რაოდენობა კლებულობს, მტრებისა კი მატულობს

„პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში რუსეთის ურთიერთობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან სხვადასხვანაირად ვითარდებოდა. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო ათწლეულში რუსეთის

მეგობრების რაოდენობა ყოფილ საბჭოთა სივრცეში სულ უფრო და უფრო მცირდება. უფრო მეტიც — მოსკოვის ყველაზე ახლო მეგობრები დღეს რუსეთის მტრების სიაში ჩაეწერნენ.

2005 წლიდან რუსული მასმედიისათვის ყველაზე საინტერესო ქვეყნები, შეიძლება ითქვას, საქართველო და უკრაინა იყო, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში რუსეთთან დაახლოებულ და დაკავშირებულ ქვეყნებად ითვლებოდნენ.

საქართველოსთან კონფლიქტის გაღრმავება 2000-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და თავის პიკს 2008 წელს მიაღწია. დაძაბულობის ზრდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდს დაემთხვა, რომელიც ძალიან ჰგავს უკრაინაში რამდენიმე თვის წინათ მომხდარ „მაიდანს“. მღელვარების ძირითადი მიზეზი გახდა მოსახლეობის უნდობლობა 2003 წლის ნოემბრის პარლამენტის არჩევნების შედეგების მიმართ.

2000-იანი წლების შუახანებში რუსეთმა ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ემბარგო დააწესა. ყველაზე დიდი რეზონანსი კი 2006 წლის ღვინის სკანდალმა გამოიწვია, როცა მაშინდელმა მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ „როსპოტრებნადზორს“ ქართული ღვინის რუსეთში იმპორტის აკრძალვა დაავალა. საქართველოსთვის (და მასთან ერთად მოლდოვასათვის) ეს ძალიან დიდი დანაკარგი იყო. რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური ვერსიით, აკრძალვა ბაზარზე კონტრაფაქტული პროდუქციის დიდმა რაოდენობამ განაპირობა, თუმცა, საქართველოს ხელისუფლების რიგმა წარმომადგენლებმა მოსკოვის ეს გადაწყვეტილება მკვეთრად უარყოფითად შეაფასეს და საქართველოზე ზემოქმედების მცდელობად მიიჩნიეს.

მომდევნო პერიოდში ურთიერთპრეტენზიები გახშირდა. 2006 წელს აგორდა რუსეთ-საქართველოს ჯაშუშური სკანდალი: ქართველმა ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ჯაშუშური საქმიანობისთვის დაიჭირეს რუსი სამხედრო მოსამსახურეები. ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობა ფაქტობრივად ნულამდე დავიდა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ რუსეთმა თავისი ტერიტორიიდან ქართველი მოქალაქეების იძულებითი დეპორტირება განახორციელა.

მაგრამ ნამდვილ განხეთქილების ვაშლად საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსი გახდა. მოკლედ თუ ვიტყვით, ვითარება ასეთი იყო: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ტერიტორიები ცდილობდნენ, დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი მიეღოთ, მაგრამ საქართველო მათ თავის შემადგენლობაში თვლიდა.

რაღაც პერიოდში თითქოს ისე ჩანდა, რომ თბილის-ცხინვალისა და თბილის-სოხუმის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდებოდა. 2006 წლის ივნისში მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ, თუ რუსეთი კონფლიქტების მოგვარებაში დაეხმარებოდა, მაშინ რუსეთი საქართველოსთვის „ყველაზე ახლო, თბილი და კომფორტული მეგობარი“ იქნებოდა. ამავე დროს პრეზიდენტი შეურყეველი იყო იმ საკითხში, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყვნენ. კონფლიქტმა სამხედრო ესკალაციას 2008 წელს მიაღწია.

რუსეთ-უკრაინის ამჟამინდელი ურთიერთობის გაცივებაც ანალოგიური სცენარით მიმდინარეობს... მართალია, სახელმწიფოებს შორის პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი არ მიმდინარეობს, მაგრამ კიევი მოსკოვს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში სიტუაციის დაძაბვაში ადანაშაულებს. ზუსტად ასევე აფასებდა საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მოქმედებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე.

მსგავსი პოლიტიკური პერიპეტიები რუსეთისა და უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობაში ერთმანეთის მიმართ უთანხმოებასა და მტრობას იწვევს. რუსები თითქმის ერთხმად იწონებენ ყირიმის მიერთებას რუსეთისადმი და არ ერიდებათ, „სამზარეულოში საუბრების“ დროს უკრაინის ხელისუფლებას „ნაციონალისტური“ და „ფაშისტურიც“ კი უწოდონ.

ამასობაში პოსტსაბჭოთა სივრცეში სულ უფრო ცოტა ქვეყანა რჩება, რომლებთანაც რუსეთის ურთიერთობას შეიძლება მეგობრული ეწოდოს. სხვადასხვა გამოკითხვების თანახმად, მოსახლეობა ასეთებად ჯერ კიდევ მიიჩნევს ბელარუსს, ყაზახეთს და სომხეთს.

დედამიწის ზურგზე

შოტლანდიაში მიმდინარეობს რეფერენდუმი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი

თუ შოტლანდიელები უპასუხებენ „დიახ“ ერთადერთ შეკითხვას ბიულეტენში: „უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი?“, ამით დასრულდება ქვეყნის დიდ ბრიტანეთთან 300-წლიანი კავშირი. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა უარს ეტყვის გამოყოფას, მოსალოდნელია დიდი ცვლილებები.

* * *

კოსოვომ შემოიღო სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. იაპონიაც ემზადება ახალი შემზღუდავი ღონისძიებებისათვის, ამტკიცებს პრესა

როგორც კოსოვოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ენვერ ხოჯაი აცხადებს, „ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა იმ ქვეყნებთან სოლიდარობის ნიშნად, რომლებიც უკრაინის სიტუაციასთან დაკავშირებით ღებულობენ სანქციებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“. იმ სანქციების რიცხვში, რომლებსაც იაპონია ამზადებს, პირველად შეიძლება აღმოჩნდეს საფინანსო და ენერგეტიკული დარგებიც.

* * *

აშშ-ის კონგრესის ძველა პალატამ ნება მისცა შეაიარაღონ და გამოწვრთვნან სირიის ოპოზიცია ისლამის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის

ამასთან ერთად ზოგიერთი დეპუტატი აღნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილების რეალიზაციის დროს აუცილებელია გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ამერიკის დახმარება და ვის მოამზადებენ სპეციალისტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ახლა დოკუმენტმა უნდა მიიღოს სენატის მოწონება. მომზადება და მომარაგება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ 2015 წლის გაზაფხულზე.

* * *

სირიაში უხარისხო ვაქცინამ წითელას წინააღმდეგ დაახლოებით 100 ბავშვი იმსხვერპლა, განაცხადა ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში

ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ 40 დაღუპულის შესახებ. ამ დროს „იუნისეფი“ ადასტურებს სიკვდილის მხოლოდ 15 შემთხვევას. ბაშარ ჯააფარიმ პასუხისმგებლობა დააკისრა მომხდარის გამო გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს ჰუმანიტარულ საკითხებში ვალერი ამოსს.

სეპარატიზმის საერთაშორისო პრაქტიკა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მაგალითზე

პუბლიკაციაში, უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში სეპარატისტული მოვლენების ფონზე, გაანალიზებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის „ურთიერთგამომრიცხავი“პრინციპების — ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკული განხორციელების ფაქტები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

საერთაშორისო სამართალში ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და ხალხთა თვითგამორკვევის საკითხებში მკვეთრი განმარტება არ არსებობს, არაა ნათლად გამოკვეთილი წესი — ვინ ვის როგორ და როდის შეიძლება გამოეყოს. თანამედროვე მსოფლიო მოწყობის კრიტიკოსები ამბობენ, რომ ამგვარი ნორმები გაეროს პლატფორმაზე უნდა შემუშავდეს, მაგრამ ფაქტია, რომ მანამდე ჯერ კიდევ შორსაა. თუმცა, ამ საკითხში რაღაც მიღწევები უკვე არის.

ხალხთა ეროვნული და რეგიონული მისწრაფებები შეიძლება სახელმწიფოს საზღვრების დარღვევის გარეშეც დაკმაყოფილდეს, მათი ავტონომიის გაფართოებით. ორი მომენტიცაა გასათვალისწინებელი: თუ ვინმეს სადღაც გასვლა უნდა, დემოკრატიულმა სახელმწიფომ ის „საპყრობილეში“ არ უნდა ამყოფოს, მაგრამ სეპარატისტებმაც ვნებები უნდა დაიოკონ და ისე არ უნდა იყვირონ — „გვინდა და მორჩა, ხელისუფლება სულ ფეხზე გვკიდია“. ყველაფერი ერთმანეთის ინტერესების პატივისცემით და კონსენსუს-კომპრომისებით უნდა გადაწყდეს.

ასეთი კონფლიქტები ოთხ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

პირველი — სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების გამო სეპარატისტები მსოფლიო საზოგადოების თვალში სიმპათიებს იწვევენ და მათი დახმარებით ისინი იმარჯვებენ;

მეორე — სეპარატისტებს რომელიმე საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო (ხშირად მეზობელი ქვეყანა) ეხმარება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს უფრო ტერიტორიული დავაა, ვიდრე სეპარატიზმი. მსოფლიო ასეთ მოვლენას ნეგატიურად აფასებს. თუ საბოლოო ჯამში სეცესია (გამოყოფა) მაინც განხორციელდება, გამოყოფილ რეგიონს რეზერვაციის ბედი ელოდება: პატრონის გარდა, მას არავინ აღიარებს, რჩება სუსტი ეკონომიკით და იქ ავტორიტარული ხელისუფლებაა გაბატონებული;

მესამე — ცენტრალური ხელისუფლება საკმაოდ ძლიერია და სეპარატისტებს კისერს უგრეხს, მსოფლიო კი ამას შიდა პრობლემად აფასებს და გულგრილად უყურებს. ასეთ დროს „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს“არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ;

მეოთხე — პროცესი დემოკრატიულად მიმდინარეობს, კანონის ფარგლებში, იღებს ხანგრძლივ მშვიდობიან ფორმას და საბოლოოდ, უშედეგოა იმდენად, რამდენადაც ადამიანები ზოგადად კონსერვატორები არიან და დამოუკიდებლობას „სტატუს-კვოს“ამჯობინებენ.

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, სეპარატიზმის ყველა მასშტაბური გამოვლინება პრაქტიკულად ამ კატეგორიებში თავსდება: პირველში - კოსოვო, ტიმორი, სამხრეთი სუდანი; მეორეში — აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბაღი; მესამეში — ჩეჩნეთი, ტიბეტი და სინცზიანი; მეოთხეში — კვებეკი, შოტლანდია, ნაწილობრივ — კატალონია. მასალაში მოცემულია აგრეთვე თითოეული ზემოხსენებული სეპარატისტული რეგიონის საკმაოდ ვრცელი დახასიათება.

რაც შეეხება აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, საქართველოს ამ სეპარატისტული რეგიონების შესახებ პუბლიკაციაში ნათქვამია:

ამ კონფლიქტების მიზეზების ძებნას საუკუნეთა სიღრმეში მივყავართ, კავკასიაში რუსების გამოჩენამდე. არსებობს გამონათქვამი — „სახელმწიფო-მატრიოშკა“, ანუ სახელწიფოში კიდევ პატარა სახელმწიფოა. აფხაზები და ოსები ქართველებს ვერ იტანდნენ, სამაგიეროდ, შორს მდებარე იმპერიული პეტერბურგისაკენ, შემდგომში კი მოსკოვისაკენ მიილტვოდნენ. თავის მხრივ, ცენტრი, ჯერ კიდევ მიხეილ გორბაჩოვის დროს, მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათ შემადგენლობაში მყოფი ავტონომიების დაპირისპირებაში მხარს ამ უკანასკნელთ უჭერდა.

1992-94 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს რუსეთს ფორმალურად ნეიტრალიტეტი ეკავა, მაგრამ ქართულ პოზიციებს „ამოუცნობი“თვითმფრინავები ბომბავდნენ, რუსი მესაზღვრეები კი აფხაზეთში დაუბრკოლებლად უშვებდნენ კაზაკ და ჩრდილოკავკასიელ მოხალისეებს. ცეცხლის შეწყვეტისა და ზავის დადების შემდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსი მშვიდობისმყოფლები განლაგდნენ.

მიხეილ სააკაშვილმა მოთმინება დაკარგა და სამხრეთ ოსეთში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“ ძალის გამოყენებით დაიწყო, მაგრამ შეცდა: რუსეთის არმიამ ქართველების მცდელობა სწრაფად და ულმობლად აღკვეთა, პარალელურად კი მოსკოვმა სამხრეთ ოსეთთან ერთად აღიარა აფხაზეთის სუვერენიტეტიც, თუმცა, იქ პრაქტიკულად სამხედრო მოქმედებები არ მიმდინარეობდა.

◎ 17 გაელვება

მე ის მიყვარდა

შესრულდა 90 წელი გამოჩენილი კინორეჟისორის ტატიანა ლიოზნოვას დაბადებიდან. სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ ისეთ კინოშედევრებს, როგორებიცაა „ევდოკია“, „სამი ალვის ხე პლიუშიხაზე“, „კარნავალი“ და, რასაკვირველია, „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“.

დიდ რეჟისორზე გაზეთ „სოვერშენნო სოკრეტნოს“ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა იგორ ობოლენსკის ვრცელი სტატია. ვბეჭდავთ ნაწყვეტებს, რომლებიც, ვფიქრობთ, განსაკუთრებით დააინტერესებს ქართველ მკითხველებს.

მეექვსე გაელვება

ლიოზნოვას, ალბათ, ყველაზე რომანტიკული გაელვება ქართველი მსახიობის არჩილ გომიაშვილის სახელთან იყო დაკავშირებული.

„მე ის მიყვარდა, — ამბობდა ლიოზნოვა, — **მასთან მე რომანი მქონდა, ის დედაჩემს მოსწონდა“.**

არ არის გასაკვირი, რომ როდესაც დაიწყო მზადება „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვების“ გადაღებისთვის, გომიაშვილი შტირლიცის როლზე ოცნებობდა. საოცნებო როლი რომ მიეღო, მსახიობი ბევრ რამეზე იყო მზად. ჰყვებოდნენ, რომ ერთ-ერთი სინჯის დროს, როდესაც ლიოზნოვა ესაუბრებოდა მავან მსახიობს, პავილიონის შესასვლელში გამოჩნდა „ტკაცუნა“ გოგონა (ასე უწოდებენ ქალიშვილებს, რომლებიც აცხადებენ მორიგი დუბლის შესახებ) და თქვა,

რომ მთელი გუნდი ავტობუსშია, ელოდებიან მხოლოდ ქალბატონ ტატიანას. აღმოჩნდა, რომ გომიაშვილმა მომავალი გადაღებების ყველა მონაწილე მიიწვია რესტორან „არაგვში“ — იმ წლებში უპოპულარულეს ადგილზე მოსკოვში, სადაც მოხვედრა ლამის ყველას ოცნება იყო.

მაგიდები უხვად იყო გაშლილი. როდესაც ლიოზნოვა რესტორანში შევიდა, იულიან სემიონოვი დაინახა. ის მივიდა რეჟისორთან და უთხრა: „მომისმინე, ვერაფრით ვერ გამოვნახე შტირლიცი. თუმცა, შეხედე, აი ის!“ და მიუთითა იქვე მდგომ გომიაშვილზე. ამგვარი ინსცენირება, რასაკვირველია, ლიოზნოვას არ შეიძლებოდა მოსწონებოდა. გომიაშვილმა მთავარი როლი მაინც ვერ მიიღო. ერთადერთი, რაც ლიოზნოვამ მას შესთავაზა, იყო — მიულერის როლი.

„მაგრამ გომიაშვილი შტირლიცზე უფრო დაბალ როლზე არ იყო თანახმა, — იხსენებდა ქალბატონი ტატიანა. — **ამის გამო ჩვენ წავიჩხუბეთ, ის მოსკოვიდან თბილისში წავიდა“.**

მეშვიდე გაელვება

ისტორიამ არჩილ გომიაშვილთან დაკავშირებით შემდგომ მიიღო თავისი გაგრძელება. როდესაც გადაღებები დამთავრდა, ტატიანა ლიოზნოვამ თბილისში მოაწყო სპეციალური ჩვენება.

ისე მოხდა, რომ თვითმფრინავში ის აღმოჩნდა არჩილ გომიაშვილის ოჯახთან ერთად. თავად მსახიობი იმ მგზავრობის შესახებ იგონებდა: „ჩემმა ცოლმა ტატიანამ (არჩილ გომიაშვილი ორჯერ იყო დაქორწინებული — მისი პირველი ცოლი იყო ქართველი ლიანა მანჯავიძე, რომლისგანაც მსახიობს ორი შვილი ჰყავს — **ი. ო.**) იმ პერიოდში, სანამ ლიოზნოვა იღებდა ფილმს „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, მაჩუქა გოგონა. და აი, ვჯდები თვითმფრინავში, რათა თბილისში ჩავფრინდე. და ვხედავ — ტატიანა ლიოზნოვა და მთელი გადამღები ჯგუფიც თბილისში მოფრინავენ ფილმის საჩვენებლად. თვითმფრინავში ჩემმა ნინიკომ — ის ორი წლისა იყო — სირბილი დაიწყო და კალთაში ჩაუჯდა ტანია ლიოზნოვას. მივედი ჩემ გოგონასთან, ავიყვანე ბავშვი ხელში და ტანიას ვუთხარი: „ხედავ, ისტორიამ თავად გადაწყვიტა — შენ მოგაქვს ლითონის ქილები ფილმით, მე კი მიმყავს ეს პატარა ადამიანი“. აი, ასეთია ბედის ისტორია...“

თითქოს განგებო, ლიოზნოვამ ფილმის „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ გადაღება გადაიტანა საქართველოში. სცენას ბერლინის ზოოპარკში, როდესაც პროფესორი პლეიშნერი დათვებს ეფერება, იღებდნენ სწორედ თბილისის სამხეცეში, ბავარიის ალპებს კი, სადაც პასტორი შლაგი თხილამურებზე დგება — ბაკურიანში.

მერვე გაელვება

ტატიანა ლიოზნოვა დიდ ყურადღებას უთმობდა მუსიკას. ცხადია, პარტიტურას თავად არ წერდა, მაგრამ სწორედ რეჟისორი ხდებოდა გენერალური მუსიკალური გადაწყვეტილებების თანაავტორი.

ამის მაგალითია — შტირლიცის ცოლთან შეხვედრის სახელგანთქმული სცენა.

იმის შესახებ, რომ ამგვარი შეხვედრები მართლა ხდებოდა, ლიოზნოვას უამბო ფილმის ერთ-ერთმა კონსულტანტმა, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის პოლკოვნიკმა გიორგი ფიფიამ, რომელიც ტიტრებში მითითებულია, როგორც კოლხი (ესე იგი კოლხიდელი).

შტირლიცის შეხვედრა ცოლთან მიმდინარეობდა კაფე „ელეფანტში“. რვა წუთის განმავლობაში, რამდენ ხანსაც ეპიზოდი გრძელდებოდა, არ წარმოთქმულა არც ერთი სიტყვა. ისმოდა მხოლოდ მუსიკის ხმა, რომელიც ნებისმიერ სიტყვებზე უფრო მჭევრმეტყველური აღმოჩნდა. ეს დიდებული მუსიკა მიქაელ ტარივერდიევმა დაწერა.

ფილმსაც, მუსიკასაც გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად. სანამ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირში არ მოვიდა დეპეშა: „გილოცავთ ჩემი მუსიკის წარმატებას თქვენს ფილმში. ფრენსის ლეი“.

ამრიგად, პირდაპირ მიუთითებდნენ იმაზე, რომ მელოდია ტარივერდიევმა მოპარა ფრანგ კომპოზიტორ ლეის. ხუმრობა იქით იყოს და, ტარივერდიევის ნაწარმოებების ამოჭრა დაიწყეს სატელევიზიო და რადიოგადაცემებიდან. კონცერტებზე კომპოზიტორს აძლევდნენ შეკითხვას: მართალია, რომ სსრ კავშირს მოუწია გადაეხადა ასი ათასი დოლარი ამ ქურდობისათვის?

როგორც თავად ტარივერდიევი იხსენებდა, ხმები წარმოუდგენელი სისწრაფით ვრცელდებოდა და სიხარული მუსიკის წარმატებისაგან წაიშალა. შედეგად, მან გადაწყვიტა მოეძებნა თავად ლეი.

ტარივერდიევს კომპოზიტორის მონახვაში პარიზში „სოვექსპორტფილმის“ წარმომადგენელი ოთარ თენეიშვილი დაეხმარა. შედეგად ფრენსის ლეიმ გამოგზავნა დეპეშა იმის შესახებ, რომ მას ცილი დასწამეს და არანაირი გზავნილი საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირში არ გამოუგზავნია.

დღეს მუსიკა ფილმისათვის „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ დამსახურებულად ითვლება ტარივერდიევის ერთ-ერთ შედევრად.

იგორ ობოლენსკი

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

◎ დიმიტრი ყიფიანი — 200

მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს...

„თვალწინ გვიდგა იგი — წარმოსადეგი მოხუცი წამებულის გვირგვინითა. მის დიადად მეტყველს და მხნეობით სავსე სახეს ზედ დაჰფენია შარავანდედი ტანჯვით მოკლულისა... მისი სამსახური და ღვაწლი ყველას ანდერძსავით თვალწინ აქვს...

დიახ, ბატონებო, იგი აღარ არის... მოკვდა!.. გარდაიცვალა და არ გარდაიცვლებიან მხოლოდ მისნი სამსახურნი, მისნი ღვაწლნი, მისნი საქმენი...

ამისთანა იშვიათ კაცებზეა ნათქვამი:

„მოკვდა და თავის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო“.

ამ სიტყვებით გამოეთხოვა დიდი ილია დიმიტრი ყიფიანს. ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ქართველს და თითქმის ას ოცდაათი წლის წინათ ერის მამის დანატირები, როგორც მისი ყველა ნაწინასწარმეტყველები ახდა. ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელს არ ივიწყებს დედასამშობლო, არ დაივიწყებს ქართველი ერი, სანამ ერთი ქრისტიანი ქართველი ივლის დედამიწაზე. აკი თავად დიმიტრი ყიფიანმა ბრძანა — **თუკი ჩემი სამსახური სასარგებლო იქნება, პირველ რიგში იგი სასარგებლო უნდა იყოს ჩემი სამშობლოსთვისო.**



სწორედ სამშობლო არ ივიწყებს მას.

2007 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანთა დასში შერაცხა და ეწოდა — **წმინდა დიმიტრი სამშობლოსთვის წამებული.** დიმიტრი ყიფიანის სახელი აქვს მინიჭებული თბილისის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არის დიმიტრი ყიფიანის სახელობის საერთო დარბაზი, თბილისში სვანეთის უბანში შენდება წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ეკლესია, მთაწმინდის უბანში არის მისი სახელობის ქუჩა, წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა- პოპულარიზაციისათვის დაწესებულია დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი, გახსნილია დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში.

ახლახან საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების“ პრეზიდენტის ბატონ **ბონდო კობაძის** ავტორობითა და მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ბატონ **ნუგზარ ყიფიანის** თანადგომით გამოიცა ფუნდამენტური ათასორასგვერდიანი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი და უნიკალური ფოტომასალით ილუსტრირებული კრებული **„დიმიტრი ყიფიანი — 200“.**

პროექტის ავტორმა **ბონდო კობაძემ** და გამოცემის რედაქტორმა ქალბატონმა **ლია ამანათაშვილმა** ათ თვეში დაუღალავი შრომის შემდეგ მკითხველს მართლაც უნიკალური წიგნი მიაწოდა და ამით კიდევ ერთხელ უკვდავყვეს დიდი მამულიშვილისა და წმინდანის სახელი. წიგნი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოიცა. ამ საიუბილეო კრებულში თავიანთი მოწიწება დიდი მამულიშვილის ღვაწლისადმი გამოხატეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** და საქართველოს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა.** წიგნში დიმიტრი ყიფიანის ღვაწლსა და შემოქმედების შესახებ ვრცლადაა წარმოდგენილი როგორც მის თანამედროვეთა, ისე მისი შემოქმედების შემდგომი პერიოდის მკვლევართა წერილები და მოგონებები. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ვალერიან გუნია, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, ალექსანდრე ყაზბეგი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა. მკითხველი გაეცნობა დიმიტრი ყიფიანის მემუარებს, მის შემოქმედებასა და წერილებს, ჩვენ თანამედროვეთა ნაშრომებს.

დიდი მამულიშვილის დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით საქველმოქმედო ფონდ „მამულიშვილთა გახსენებას“ მრავალი ღონისძიება აქვს დაგეგმილი. დღეს 14 საათსა და 30 წუთზე ქართველი საზოგადო მოღვაწენი და მთავრობის წევრები დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას პატივს მიაგებენ მთაწმინდის პანთეონში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქვითფერმწერული ხელოვნების დამაარსებელმა, ბატონმა **ალეკო ლომაძემ** ქვაში შექმნა დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი, რომელიც ღონისძიების შემდეგ გადაეცემა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს ქვიშხეთში, ხოლო შპს „დუგლაძეების“ ღვინოების კომაანიამ სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის ჩამოასხა თეთრი ღვინო „წინანდალი“ და წითელი „მუკუზანი“, რომელთა ეტიკეტებსაც დიდი მამულიშვილის პორტრეტები ამშვენებს. აღსანიშნავი და სასიხარულო ფაქტია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი დავალებით დაიწყება დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია ქვიშხეთში.

ყოველივე ეს ზღვაში წვეთია იმ უდიდეს ღვაწლთან შედარებით, რაც დიმიტრი ყიფიანს მიუძღვის თავისი ერისა და სამშობლოს წინაშე, ამასვე ბრძანებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II: **„ძნელია მოიძებნოს XIX საუკუნეში ეროვნული საქმე, რომლის წამომწყები, თავკაცი და მონაწილე წმინდა დიმიტრი არ ყოფილიყო, სამართლიანად აღნიშნავდა წმინდა ილია მართალი: „დიმიტრი არის ჩვენი ხუროთმოძღვარი, ჩვენ კი მისი კალატოზებიო“. მთელი მისი ცხოვრება თავდადება და მსახურება იყო თავისი ქვეყნისა და მოყვასისადმი, მის მაგალითზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი მომავალი თაობა“.**

მამუკა ვაშაკიძე

◎ ჭიდაობა

მწვრთნელებმა ლუკას რისხვა იწვნიეს

ამას წინათ უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში დამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატში ქართველმა ფალავნებმა მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ამგვარმა ფიასკომ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მესვეურთა, განსაკუთრებით, მისი პრეზიდენტის — ლუკა კურტანიძის განრისხება გამოიწვია, რასაც შედეგად თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელების — რევაზ მინდორაშვილისა და ბეგი დარჩიას თანამდებობებიდან გათავისუფლება მოჰყვა. ყოველივე ეს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სპორტის სამინისტროში გამართული ლუკა კურტანიძის პრესკონფერენციის შემდეგ.

„ორივე სტილის ეროვნული ნაკრები რეგრესს განიცდის. მდგომარეობა სასწრაფოდაა გამოსასწორებელი. შარშანდელთან შედარებით წლეულს ორჯერ ნაკლები მედალია მოპოვებული, არადა, 2014 წელს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მომზადებაზე 606 000, ხოლო ბერძენ-რომაელებისაზე — 612 000 ლარი დაიხარჯა. სამეთვალყურეო საბჭოსა და ვეტერანებთან თათბირის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ორივე გუნდში მწვრთნელთა საბჭოს შემადგენლობა გადასახალისებელია. ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ორშაბათს ორივე ნაკრებში საქართველოს ახალ სამწვრთნელო შტაბებს წარადგენს“, — აღნიშნა კურტანიძემ. მწვრთნელთა გათავისუფლების ამბავს, სამწუხაროდ, უხმაუროდ არ ჩაუვლია - შეხვედრის დასრულების შემდეგ საქმე ფედერაციის პრეზიდენტსა და მწვრთნელთა ერთ ნაწილს შორის ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მივიდა.

გურამ ოსაძე

◎ შეხვედრა

კლუბური სისტემა — პრიორიტეტად

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში სპორტული ფედერაციებისა და ასოციაციების, ასევე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს შეხვდა. საუბრის მთავარი თემა იყო საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობა, კლუბური სისტემის გამოწვევები და პერსპექტივები, ასევე, სპორტის საკანონმდებლო ბაზის დარეგულირება ევროპული სპორტის მოდელის გათვალისწინებით. მინისტრის მოადგილემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი კლუბური სისტემისა და სპორტის კანონმდებლობის მოწესრიგების აუცილებლობას, ფედერაციების წესდებების სრულყოფას, სპორტული სოლიდარობის პრინციპების დაცვას და ამ პროცესში სპორტული ფედერაციების როლსა და ჩართულობას. თამაზ თევზაძემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო და კოორდინირებული ურთიერთობის აუცილებლობა, განსაკუთრებით — სპორტის ბიუჯეტის გასაუმჯობესებლად.

შეხვედრაზე სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებმა რამდენიმე პრობლემური საკითხი და შეკითხვა დასვეს, რომლებზეც მინისტრის მოადგილემ ამომწურავი პასუხები გასცა.

გივი გაგუა

◎ მწვერვალზე

საიუბილეოდ

მეოთხედი საუკუნის წინათ - 1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაარსდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომლის დამფუძნებელ კონფერენციას 337 დელეგატი დაესწრო. მას შემდეგ ქართულმა ოლიმპიურმა მოძრაობამ ნაბიჯ-ნაბიჯ მოიკიდა ფეხი დიდ ოლიმპიურ ოჯახში. სეოკ-ი დღეს საერთაშორისო სპორტულ სტრუქტურებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

25 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს დედაქალაქს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი და 25-მდე ქვეყნის ეოკებ-ის ხელმძღვანელები ეწვევიან. ამ დღეებში სწორედ სეოკ-ის ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა ხდის ხეობაში მწვერვალ „საქართველოს ოლიმპიელზე“ ასვლა. ლაშქრობაში 25-კაციანი ექსპედიცია მონაწილეობდა. მწვერვალის დამპყრობთა შორის ოთხი ოლიმპიური ჩემპიონიც გახლდათ: სეოკ-ის პრეზიდენტმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა, 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებულებმა — შოთა ხაბარელმა და ვახტანგ ბლაგიძემ არაერთი დაბრკოლება გადალახეს და ფეხით 16-საათიანი სიარულის შემდეგ ზღვის დონიდან 4200 მეტრ სიმაღლეზე საქართველოს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშები ააფრიალეს.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ექსპედიციის მონაწილენი მწვერვალზე.

◎ ჭადრაკი

მასპინძელთა უპირატესობით

რვა ქვეყნის 65 წარმომადგენელი მონაწილეობდა „ნონას თასის“ გათამაშებაში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. განსაკუთრებით ლუკა პაიჭაძემ იყოჩაღა — ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და ნონა გაფრინდაშვილის თასთან ერთად 5500 ლარიც დაიმსახურა. უკრაინელ ვლადიმირ ონიშჩუკს 7 ქულით მეორე ადგილი და 3500 ლარი ერგო. 6.5 ქულით მე-3 იყო რობერტ ჰოვანესიანი (2.500 ლარი). 8 მოჭადრაკემ 6-6 ქულა მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით IV-V ადგილები ლევან ფანცულაიამ (1.500 ლ) და ანდრეი ბარიშპოლეცმა (1.000 ლ) გაიყვეს.

ქალებში 5.5 ქულით პირველი ადგილი მერი არაბიძემ (3.500 ლ) დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით II-III ადგილები, შესაბამისად, ნინო ხურციძემ (2.000 ლ) და მაია ლომინეიშვილმა (1.200 ლ) გაიყვეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა დააჯილდოვეს.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ჯერ ყველაფერი წინაა



ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ორწრიანი ტურნირი ექსპერიმენტული შემადგენლობით ბრძოლაში ჩაბმისა და ერთი შეხედვით უიმედო სიტუაციის გამოსწორების საშულებას იძლევა.

თუ არა აღნიშნულ გარემოებას, აბა რას უნდა მივაწეროთ აღიარებული ფავორიტების (რასაკვირველია, ეს ყველას არ ეხება) თავკაცთა საქმისადმი დამოკიდებულება, როცა სასტარტო მატჩები სათადარიგოთა სკამიდან დაიწყეს „ბარსელონასა“ და „ბაიერნის“ ლიდერებმა ინიესტამ და რობენმა. ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას დასახელებული ტოპ-კლუბების მოკრძალებული გამარჯვებები. მეტოქის გათვალისწინებით ეს განსაკუთრებით კატალონურ გრანდზე ითქმის, თუმცა არის სხვა ფაქტორებიც.

მაგალითად, უკრაინაში განვითარებული ფორსმაჟორული მოვლენების გამო დონეცკის „შახტარს“ ნაკლებად ეფეხბურთებოდა და მაშინ, როცა ულტრათანამედროვე „დონბას არენაზე“ ჭურვები სკდებოდა, მირჩა ლუჩესკუს გუნდი ელიტური ბატალიებისთვის სამშობლოდან შორს ემზადებოდა. როგორც ირკვევა, ნაყოფიერადაც. ყოველ შემთხვევაში, ბილბაოში ბასკურ კერკეტ კაკალთან მოპოვებული ქულა, ვფიქრობთ, ლოკალურ წარმატებად უნდა შეფასდეს.

ოთხშაბათს გამართული შეხვედრების სრული შედეგები ასეთია:

„ე“ ჯგუფი. „ბაიერნი“ — „სიტი“ 1:0, „რომა“ — ცსკა 5:1.

„ვ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ — „აპოელი“ 1:0, „აიაქსი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:1.

„ზ“ ჯგუფი. „ჩელსი“ — „შალკე“ 1:1, „მარიბორი“ — „სპორტინგი“ 1:1.

„თ“ ჯგუფი. „ბილბაო“ — „შახტარი“ 0:0, „პორტუ“ — ბატე 6:0.

გიორგი ზოთაძე

◎ სიახლე

თუ ვინმემ ინტერნეტსივრცეში შეურაცხგყოთ...

სოციალურ ქსელში მიყენებული შეურაცხყოფა, ან მუქარა დასჯადი ხდება, — ამბობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი.

„კიბერდანაშაულის მარეგულირებელი საერთაშორისო დოკუმენტია ევროპის საბჭოს 2001 წლის კონვენცია, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2012 წელს მოახდინა. აღნიშნული დოკუმენტი კიბერსივრცეში ჩადენილ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს განსაზღვრავს, რომლის დასჯადად გამოცხადება კონვენციის ყველა წევრ სახელმწიფოს ევალება.



ამასთანავე, კონვენცია წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, შექმნან კიბერდანაშაულთან ბრძოლის შიდა ეროვნული სპეციალიზებული დანაყოფები. საქართველოში კიბერდანაშაულის დასჯადობის საკითხებს აწესრიგებს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე თავი, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს კიბერსივრცეში ჩადენილი შემდეგი ქმედებები: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის ან კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, კომპიუტერული მონაცემისა და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა.

აღნიშნულთან ერთად, დანაშაულია ბავშვთა პორნოგრაფიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევა და კიბერსაშუალებებით ჩადენილი ტერორიზმი. გარდა ამისა, 2012 წელს მიღებული იქნა კანონი „ინფორმირებული უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც აწესებს ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგად სტანდარტებს საჯარო და კერძო სექტორისათვის.

2013 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას 2013-2015 წლებისათვის, რომელიც კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ დოკუმენტია. სტრატეგიას აქვს სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად არის აწერილი დაგეგმილი ღონისძიებები.

თუ ვინმემ ინტერნეტსივრცეში მოგაყენათ შეურაცხყოფა, ან დაგემუქრათ, თუ თქვენ გახდით კიბერთავდასხმის მსხვერპლი, ან ფლობთ ინფორმაციას კიბერდანაშაულის თაობაზე, გთხოვთ, მიმართოთ განცხადებით პოლიციას, ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 112 — უფასო ცხელი ხაზი 24 საათის განმავლობაში, ტელ: 41 12 96; 2 41 17 67“.

◎ კაკალ გულში

ნეჩეტოვანი თქმანები

● **სააკაშვილი მიუწვევიათ და ამათ რა აჩხუბებდათ?**

● **რამე უფრო სერიოზულ პრიჩინაზე რო იკამათონ, არა?**

მაგ: 1. ქუდი რატო არ გახურავს.

2. შენი ძმა და თლათ უფროსი რო ისრჩობოდნენ, რომელს გადაარჩენ.

3. 1 კგ ბამბა უფრო მძიმეა თუ 1 კგ რკინა.

4. მერსედესი გაასწრებს, თუ თლათ უფროსის მანქანა.

● **დღეს ოქროს ბარათი სახლში დამრჩა და** NATO-ში არ შემიშვეს.

● **„სამუშაო სივრცე“ სჭირდება მფრინავს, კოსმონავტს, დელტაპლანერისტს, ტრამპლინიდან მხტომელ მოთხილამურეს და ა.შ...**

პრეზიდენტებს რა „სივრცე“ უნდათ? - მაგიდა, სკამი და მისი ჯანი! („ლენინი სმოლნში“ ხომ გინახავთ?). ზოგისთვის ეგეც ზედმეტია ალბათ.

● **წუხელ ფოთში მევახშე კაჟა ბულავა დაუყაჩაღებიათ. მძარცველებმა წაართვეს ბევრი ფული და მეუღლე ეზოში ჯაჭვით დაუბეს. შემთხვევის ადგილზე პატრული ამ დრომდე არ მისულა. ბულავამ ერთ-ერთი მძარცველი ამოიცნო, იგი ამბობს, რომ მას პყავს პოლიციის მაღალჩინოსანი ბიძაშვილი და იგი ხელს აფარებს ამ ყაჩაღს. კიდე რაღაცები ვიცი და თუ ვინმეს დააინტერესებს, ინბოქსში ვუპასუხებ.**

● **საქართველოს აღმავალი ეკონომიკა, წარმოებათა სოკოებივით გამრავლება, მოსახლეობის ზღვარს გადასული დასაქმება, ბუნებრივია უდიდეს როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებების საქმეში დედამიწაზე! როგორ შეიძლება რომ მარგველა არ დაესწროს გაეროს სხადნიაკს? ქართული ქარხნების მიერ ატმოსფეროში გასულმა გამონაბოლქვმა შეჭამა ოზონი, ტო!**

● **ახლა აღარ მოგწონთ მარგველაშვილი ხოოოოოო?....**

● **რომ კითხო ამ ხალხს, ტელევიზორს და მით უმეტეს „რუსთავი 2“-ს არავინ უყურებს, არა და რავარც 9 საათი ხდება, სამარისებული სიჩუმე ვარდება სოცქსელებში.**

● **ეს ბლუყუნა გივი თარგამაძე რომ მეტყველებას დაუწუნებს ვინმეს... ჭიკაიძეც არ არის დემოსთენე, მაგრამ გივისგან ნაღდად არ ეკუთვნის დაცინვა!**

● **ჩავალ ეზოში, ღიპიანი ძმები მელოდებიან, დომინო უნდა ვითამაშოთ ბარის 20 ლიტრიან ლიმონათზე თავის ჩუპა-ჩუპსებით.**

● **პირადად მე და ჩემნაირებს, რას მოგვცემდა მარგველას წასვლა? გააძლიერებდა პრეზიდენტის ინსტიტუტს? მადლობა დიდი, ეგ უკვე გავლილი გვაქვს! ძონძი სახელმწიფოს ძლიერი პრეზიდენტი საშიშია ჩვენი ჯანმრთელობისათვის!**

● **ეს უკვე დაპირისპირება აღარაა, ეს უკვე მარაზმია. მერე გვიკვირს ნაციონალური შეფასებები რატომაა ასეთი მწვავე, ძალიან სასაცილოდ გამოიყურება ქვეყანა, მთავრობაზე და პრეზიდენტზე რომ აღარაფერი ვთქვათ...**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ იცოდით?

ფული ციფრებსა და ფაქტებში

სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში ფულად იყენებდნენ ნიჟარებსაც, ჩაის ფილებსაც, კაკოს მარცვლების პარკებსაც, თამბაქოსაც, გამხმარ თევზსაც, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც რაიმე ღირებულს წარმოადგენდა.

VII საუკუნეში ჩვენს ერამდე ლიდიაში (ესაა ქვეყანა, რომელიც XII-დან I საუკუნემდე ჩვენს ერამდე გადაჭიმული იყო თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე) გაჩნდა პირველი მონეტები. მათ ამზადებდნენ ელექტრუმისგან — ესაა ვერცხლისა და ოქროს ბუნებრივი შენადნობი. მონეტის ერთ მხარეს იყო სინჯი, მეორეზე — ასირიული ლომის თავი.

პირველი მმართველი, ვინც გასცა ბრძანება გამოეძერწათ თავისი პერსონა მონეტებზე, იყო ალექსანდრე მაკედონელი.

ახალი წელთაღრიცხვის 910 წელს გაჩნდა პირველი ქაღალდის ფული, მას ჩინეთში უშვებდნენ.

4 ათასჯერ უნდა დაკეცო და გაშალო თანამედროვე ფულის კუპიურა, რომ მის ნაკეცზე ნაცრეცი გაჩნდეს.

1994 წელს ელექტრონული ფულის არსებობა აღიარეს ევროკავშირის ბანკებმა ოფიციალურ დონეზე.

ბაქტერიების 300 ტიპი გვხვდება დოლარის კუპიურებზე, მათ შორის ისეთებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივად არიან პირის ღრუში და საშოში, აღმოაჩინეს მცენიერებმა ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან.

40,3 ათასი ბაქტერია ცოცხლობს ევროპაში ყველაზე ჭუჭყიანი ფულის — დანიური კრონების ყოველ კუპიურაზე.

მსოფლიოში ყველაზე ჭუჭყიანია — 100 იუანიანი ჩინური კუპიურები. თითოეულ მათგანზე არის სულ ცოტა 180 000 ბაქტერია, ზოგიერთზე — 37 მილიონამდეც კი.

17 დღემდე ცხოვრობენ გრიპის ვირუსები ბანკნოტებზე.

ევროს ბანკნოტებს ამუშავებენ სპეციალური ხსნარით, რომელიც თავიდან გვაცილებს ბაქტერიების ზრდას.

ევროპის მცხოვრებთა მხოლოდ 20 პროცენტი იბანს ხელს მას შემდეგ, რაც ფული ეჭირა ხელში. ამასთან გამოკითხულთა მხოლოდ ორმა მესამედმა იცოდა, რომ ფულზე არის ბევრი მიკრობი.

იაპონიაში ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში არის დაყენებული კუპიურების ჩამოსარეცხი აპარატები. აპარატები ცელსიუსის 200 გრადუსამდე ახურებენ ფულს და ამუშავებენ მას სპეციალური ხსნარით.

ინდოეთში კუპიურებს საპნით რეცხავენ. იქ ასეთი სპეციალობაც კი არსებობს — ფულის მრეცხავები.

სანთელი

ემირ ბურჯანაძე

გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი — გრაფიკოსი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი — ემირ ბურჯანაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ჰერალდიკის განვითარების საქმეში. მის შემოქმედებას ეკუთვნის საქართველოს და თბილისის გერბი, ასევე მრავალი სიმბოლიკა, შესანიშნავი მისეული ქართული ანბანი და სხვა.

იგი საქართველოზე მოფიქრალი ხელოვანია, ის ღირსეულად ემსახურა სამშობლოს და ქართველ ხალხს. მისი ნიჭიერებით შექმნილმა მაღალმხატვრულმა ხელოვნებამ საზოგადოებაში დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

◎ ალიანჩალიანი

რატომ გაათავისუფლეს პატრული სამსახურიდან?

შინაგან საქმეთა სამინისტრო პატრულ-ინსპექტორ იოსებ აბულაძის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზს განმარტავს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, პატრულ-ინსპექტორმა სათანადოდ ვერ შეასრულა მისი მოვალეობა, რასაც ისიც დაერთო, რომ გენერალურ ინსპექციაში ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი განაცხადა.

„ამ პიროვნებას მიღებული ჰქონდა სასტიკი საყვედური, თუმცა, ამის შემდეგაც სათანადოდ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, გენერალურ ინსპექციაში კი ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი განაცხადა. ამ ყველაფრის ერთობლიობის საფუძველზე გენერალური ინსპექციის მიერ მიღებული იქნა მისი სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება“, — განაცხადეს შსს-ში.

არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ ნაწილს პატრულ-ინსპექტორ იოსებ აბულაძის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით კითხვები აქვს და აღნიშნულის მიზეზად სხვა გარემოებას ასახელებს.

„იოსებ აბულაძის სამსახურიდან გათავისუფლება უკავშირდება 19 ივნისს მომხდარ შემთხვევას, როდესაც პატრულ-ინსპექტორი ღამის საათებში მეტეხის ხიდთან ე.წ. გადაკეტვაზე ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. ამ დროს გააჩერა BMW-ს მარკის მანქანა, რომლის მძღოლი გადაკეტილ ქუჩაზე ცდილობდა მანქანით შესვლას. მოქალაქემ მიმართა პატრულ ინსპექტორს აგდებული ტონით, რაზეც პატრულისგან მიიღო შენიშვნა. აღნიშნული მოქალაქე აღმოჩნდა შსს-ს მაღალჩინოსნის, კერძოდ — გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილის ერეკლე ჭოხონელიძის მეგობარი, რომელიც შარდენის ქუჩაზე იმავე სუფრასთან ქეიფობდა, სადაც მიდიოდა გაჩერებული ავტომანქანის მძღოლი. ჭოხონელიძემ რამდენიმე დღის შემდეგ დაიბარა იოსებ აბულაძე სამინისტროში და მოსთხოვა ახსნა-განმარტება, რის შემდეგაც მას გამოუცხადეს სასტიკი საყვედური.

იოსებ აბულაძემ თავისი შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტზე მიმართა სახალხო დამცველს, რომელმაც დაიწყო მოკვლევა აღნიშნულ შემთხვევაზე. ამის შემდეგ პატრულ-ინსპექტორის წინააღმდეგ გაძლიერდა სხვადასხვა სახის ზეწოლა. ხოლო 17 სექტემბერს იგი დაიბარეს შსს-ში და განუცხადეს, რომ გათავისუფლებული იყო სამსახურიდან“, — აცხადებენ „ადამიანის უფლებათა ცენტრსა“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლში.“

დააპატიმრეს გადასახადის თავის არიდების გამო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა რამდენიმე შპს-ს დამფუძნებლები გივი ბურჯანაძე და ზაზა ბურჯანაძე დააკავა.

უწყების ინფორმაციით, ბრალდებულებმა განიზრახეს საბაჟო გადასახადისათვის დაწესებული 5-დღიანი საშეღავათო პერიოდის ბოროტად გამოყენება — ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, დაარეგისტრირეს 4 სხვადასხვა კომპანია და საქართველოში შემოიტანეს 573 121 ლარის ღირებულების ნავთობის მასალა ბიტუმი, ასევე საკვები პროდუქტი ქიშმიში და ფინიკი.

„პროდუქციის განბაჟების შემდეგ ბრალდებულებმა თავი აარიდეს იმპორტის გადასახადებს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა განსაკუთრებით დიდი ოდენობის, 136 566 ლარის ზიანი. გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით“, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

ამოღებულია დიდი ოდენობით სუბუტექსი

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცავებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული, ანალოგიური დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გიორგი მ. სარფში, საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 7 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“, ხოლო მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკისას 93 აბი „სუბუტექს“ და 46 აბის ნატეხი ამოიღეს, რაც ექსპერტიზის დასკვნით 1,003 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

თბილისის ყველაზე ძვირად ღირებული სკოლების ათეული

საქართველოში კარგი სკოლის არჩევა საკმაოდ რთულია. არჩევანის გაკეთება მშობელს საჯაროსა და კერძო სკოლას შორის უწევს, თუმცა, თუ არჩევანს კერძო სკოლის სასარგებლოდ გააკეთებთ, მომდევნო ნაბიჯი უკვე თქვენს ფინანსურ შესაძლებლობაზე იქნება დამოკიდებული.

თბილისში 200-ზე მეტი კერძო სკოლაა. ზოგიერთი დაბალფასიანად ითვლება (წელიწადში 1500-2000 ლარი), ნაწილი - საშუალოფასიანად. იმ სკოლების ღირებულება, რომლებიც თავიანთ მოსწავლეებს საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად უქმნიან ბაზას, საკმაოდ სოლიდურ თანხას აღწევს.

N	სკოლა	ყოველწიური გადასახადი
1	გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია	17000 ლარი
2	ბრიტანულ–ქართული აკადემია	11 900 - 14550 ლარი
3	ევროპული სკოლა	ქართული სექტორი - 9520, ინგლისური სექტორი - 11800 ლარი
4	კავკასიის ფრანგული სკოლა	9 680 ლარი - (4000 ევრო)
5	იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი (კიკეთი)	7000-9000 ლარი
6	ახალი სკოლა	6000 ლარი
7	ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა	5900 ლარი
8	ბრიტანული ცენტრი - წმ.ნიკოლოზის სახელობის სკოლა	5500 ლარი
9	სკოლა XXI საუკუნე	5000 ლარი
10	ნიუტონის თავისუფალი სკოლა	4200 ლარი (ტრანსპორტირება 660 ლარი)
11	წმინდა გიორგის სახელობის საერო, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა	4000 ლარი

კანონიერად იჩეხება თუ არა რაჭის ტყეები?

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი რაჭის ტყეებში ფირმა „ატუს“ საქმიანობით დაინტერესდება. კომიტეტი გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართავს, შეისწავლოს რამდენად კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს ფირმა „ატუ“ ჭრებს რაჭის ტყეებში.

შესაბამისი განცხადება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ცაგარეიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მას შემდეგ გააკეთა, რაც „ატუს“ თემაზე უმცირესობამ გაამახვილა ყურადღება.

„არსებობს ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ ფირმა „ატუს“ მიერ რაჭის ტყეებში დიდი მასშტაბით განხორციელებული ჭრების შესახებ. ამ ფირმას ჭრების ლიცენზია ადრეც ჰქონდა, სრულიად კანონიერი. ცნობილია, რომ ჭრების მოცულობა, რომელიც ნებადართულია ამ ფირმისათვის, გაიზარდა. ისმის კითხვა, საერთო ჯამში რამდენად კანონიერია ასეთი მასშტაბური ჭრების განხორციელება და რამდენად შეესაბამება იმ შესაძლებლობებს, რაც აქვს რაჭის ტყეებს, რომელსაც შევარდნაძის დროს დიდი ზიანი მიადგა უკანონო ჭრებისა და ტყის მასალის კონტრაბანდულ ექსპორტზე გატანის შედეგად“, – განაცხადა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი კანდელაკმა, რომლის თქმით, „რაჭის ადგილობრივ მოსახლეობას „ატუს“ საქმიანობა აღელვებს“.

პასუხად გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ ფირმა „ატუს“ მიერ განხორციელებულ ჭრებთან დაკავშირებით დაინტერესდება.

„რაჭაში „ატუს“ გარდა ნებართვები გაცემულია სხვა ლიცენზიანტებზეც - ზოგი იყო მოკლევადიანი, ზოგი – გრძელვადიანი ლიცენზია. თუ ამ ადამიანებმა, მნიშვნელობა არა აქვს, არის „ატუ„ თუ სხვა კომპანია, გარემოსდაცვითი კანონმდებლობა დაარღვიეს, გპირდებით, ის აგებს პასუხს. რადგან თქვენი მოთხოვნაა, ხვალვე მივმართავ შესაბამისს უწყებას და მოვითხოვთ, ამ მიმართულებით შემოწმებას. შემოწმების მასალებს გადმოგცემთ თქვენ. კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მაგრამ არა მგონია ადგილი ჰქონდეს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას“, – განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 (აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცვლილება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2014 წლის 10 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნეული განცხადების ბოლო აბზაცი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: **საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღე.**

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ ადმინისტრაცია.

◎ ინფორმაცია

კვირის ბოლომდე არამდგრადი ამინდები იქნება

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა დოდო გვაზავამ განაცხადა, აღმოსავლეთ საქართველოში მაქსიმალური ტემპერატურა 19-20 გრადუსი იქნება, ხოლო დასავლეთ საქართველოში 28-30 გრადუსი.

20-21 სექტემბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არამდგრადი ამინდები იქნება. დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ძლიერი წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა 24 გრადუსამდე დაიწევს.

რაც შეეხება დედაქალაქს, თბილისში ღრუბლიანი ამინდი იქნება, ხოლო 20-21 სექტემბერს ტემპერატურა მცირედით მოიმატებს, თუმცა, მოსალოდნელია მცირე წვიმა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **არასოდეს** არ ეცადო იმის გაგება, რისი გაგებაც არ შეგიძლია.

– ვერ გავიგე...

– არც ეცადო!

* * *

– **ძალებისთვის** „ვიაგრა“ ან რაიმე ამის მსგავსი არა გაქვთ? – კითხულობს მამაკაცი აფთიაქში.

– ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ ქუჩის კუთხეში მდებარე საიუველირო მაღაზიაში კი შეიძლება რაიმეს შერჩევა...

* * *

– **თვალები** შესიებული და გაწითლებული გაქვს. დალიე ხომ? – ეკითხება შეფი პეტკას ორშაბათ დილით.

– არა, კაცო, სამსახურში წასვლა არ მინდოდა და ვტიროდი.

* * *

სასამართლო განიხილავს ორსართულიან კოტეჯში მომხდარ გაუპატიურების ფაქტს. ჩვენებას იძლევა მოწმე – მღებავი, რომელიც სახლს გარედან ღებავდა.

– ხარაჩოზე ვიდექი და მეორე სართულის ფანჯრის სიახლოვეს კედელს ვღებავდი. ზევიდან შევნიშნე, როგორ შეანგრია კარები ამ ტიპმა, დანარჩენი კი ყველაფერი ფანჯრიდან დავინახე.

– და რა დაინახეთ?

– იგი ოთახში შევიდა და გოგო საწოლზე წამოაქცია.

– მერე?

– ქვედა კაბა და პერანგი შემოახია.

– მერე?

– ბიკინი და ლიფიც გახადა.

– მერე?

– მერე ზემოდან დააწვა.

– მერე?

– მერე არაფერი არ დამინახავს, რადგან ხარაჩო ჩატყდა.

– რამ ჩატეხა?

– რამ და იმან, რომ მასზე უკვე ცხრა კაცი ვიდექით.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24